პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 23 (18565) პარასკევი, 28 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.



დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით

ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულება რუსთავის საწარმოთა შორის პირველმა უპატაკა სამშობლოს ამწესაშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომლის ანგარიშზეა მილიონზე მეტი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამ მარაგმა საშუალება მისცა ამწემშენებლებს კარგი სტარტი აიღოთ ხუთწლედის მესამე — შუაგული წლის პირველი დღეებიდანვე.

ქარხნის მშრომელებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს ამორცილებენ, გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის დავალება.

გრაფიკის გასწრებით შრომობენ მექანიკური საამქროს ხარატი, კომკავშირელი ალექსანდრე ნოზაძე, ბრიგადები, რომლებსაც ვიქტორ კულია და ჯემალ გელიაშვილი ხელმძღვანელობენ, ამწყობი ზეინკალი ვლადიმერ კურუჩკინი და სხვა. მათ მხარი დაუჭირეს თბილისელ ავიამშენებელთა ინიციატივას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: მარცხნიდან: კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვიქტორ კულია, ამწყობი ზეინკალი ვლადიმერ კურუჩკინი და ბრიგადის ჯემალ გელიაშვილი; ხარატი ალექსანდრე ნოზაძე.

3. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

პრესის ქმედითობა

ᲩᲕᲔᲜᲘ პარტია დიდი ნდობით ეკიდება საბჭოთა ჟურნალისტებს. ამ ნდობის პასუხად გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები იჩენენ მაღალ საზოგადოებრივ აქტიურობასა და პასუხისმგებლობას, ცდილობენ მთელ თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ პარტიული ჟურნალისტიკის ლენინური პრინციპებითა და ტრადიციებით.

ჩვენი მიღწევების დამაჯერებელი, კონკრეტული ჩვენება, ახალი პრობლემების სერიოზული ანალიზი, რომლებსაც დღენიადაგ წარმოშობს ცხოვრება, აზრისა და სიტყვის სიახლე, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — აი სრულყოფის გზა მთელი ჩვენი პროპაგანდისა, რომელიც ყოველთვის უნდა იყოს ალალმართალი და რეალისტური, აგრეთვე საინტერესო, გასაგები და, მაშასადამე, უფრო ქმედითიც“.

საქმეები და საზრუნავი, რომლებითაც ცხოვრობენ დღეს პარტია, ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვენი პრესის მთავარი შინაარსია. იგი გვაცნობს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის გაშლილ დიდ მუშაობას, სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობებს, ჩვენს თანამედროვეს. დღევანდელ პირობებში კიდევ უფრო იზრდება პრესის, როგორც პარტიული და საერთოსახალხო საზოგადოებრივი აზრის ტრიბუნის, კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და მასების ორგანიზატორის როლი.

პარტიის მიერ საბჭოთა ჟურნალისტების წინაშე დასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ნიადაგ იზრუნონ გამოსვლების ქმედითობის ამაღლებისათვის. ამას აღწევენ გამოქვეყნებული მასალების კონკრეტულობის, შინაარსიანობის, ოპერატიულობის, პარტიული მგზნებარების, ცხოვრების ღრმა ცოდნის, მისი აქტუალური პრობლემებისადმი ყურადღების საფუძველზე. საქმე უწინარესად ეხება იმას, რომ გულმოდგინედ და უნარიანად გავუწიოთ პროპაგანდა ჩვენს მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას, საუკეთესოთა მაგალითს. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოები უფრო ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ ისეთ პუბლიკაციებს, აგრეთვე იმ გამოსვლებს, რომლებიც ავლენენ დამატებითს რეზერვებს, პოპულარიზაციას უწევენ მართვის, შრომის ორგანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის პროგრესულ მეთოდებს, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, შრომის დისციპლინის განმტკიცების გზებს. ასეთი მასალებისადმი, გამოცდილებისადმი უყურადღებობა იგივე უყაირათობა და გამოუყენებელი რეზერვებია.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში მიღწეული წარმატებებით, გვახარებს ისინი. ამავე დროს ვიცით, რომ ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრია გადასაჭრელი პრობლემა, ნაკლი, ცუდი მუშაობის, უპასუხისმგებლობის, უწყვეტრობისა და კეთხურობის, უდისციპლინობის ფაქტები. პარტიულ კომიტეტებში, გაზეთების რედაქციებში მიღებული მშრომელთა წერილები მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ ეგუება ასეთ ფაქტებს. პრესის მოვალეობა და მოწოდება: საზოგადოებრივის სამსჯავროზე გამოიტანონ საკითხები, რომლებიც აღელვებს ადამიანებს, უფრო გაბედულად გამოიყენონ კრიტიკული სიტყვა იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

ცხადია, ბუნდოვანი ორგანო მაშინ აღწევს თავისი გამოსვლების ქმედითობას, როცა კრიტიკას საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი, ზუსტი მიხამართი აქვს. უნდა გავახსოვდეს: კრიტიკულ სიტყვაში მთავარია მისი დამრაზმველი მნიშვნელობა და არა ზერელე სიმკვახე ან სენსაციურობა, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ამა თუ იმ გამოსვლაში, და, უეჭველია, ამცირებს მათს ეფექტიანობას, ქმედითობას.

პრესის კრიტიკული გამოსვლები საქმიან რეაგირებას მოითხოვს. ᲛᲔᲬᲛᲝᲠᲔ ასე იქცევიან მეტი წილი პარტიული კომიტეტები, რომლებიც კომუნისტებს, ხალხთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს უნერგავენ კრიტიკისადმი სწორ დამოკიდებულებას. ხორციელდება საქმის ვითარების გაუჯანსაღების შესახებ ამისი ღონისძიებანი, რედაქციები კი იღებენ შინაარსიან პასუხს იმაზე, თუ რა გაკეთდა კრიტიკის შემდეგ.

ამასთან ჯერ კიდევ არიან ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი უწყებები თუ ორგანიზაციები გადააქციონ კრიტიკისაგან თავისუფალ ზონად. არის ცდები თავიდან მოიცილონ პრესის მუშაკები, რომლებიც გამოდიან კრიტიკული მასალებით, ხელოვნურად შეუქმნან მათ სიძნელეები მუშაობაში. არის შემთხვევები, როცა საქმიან, პრინციპულ გამოსვლებს ხაეჯოს ხდიან, ასეთი გამოსვლები უკმაყოფილებას იწვევს ზოგიერთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოში, სამინისტროებსა და უწყებებში. კრიტიკულ პუბლიკაციათა ავტორები იძულებული არიან მოისმინონ საყვედური იმის გამო, თითქოს სახელს უტეხდნენ ვინმეს, შარაზე გამოჰქონდეთ შინაურული ამბები. პრესის გამოსვლების თაობაზე კონკრეტულ ღონისძიებათა მიღება ზოგჯერ თვეობით და წლობითაც კი ჭიანურდება. ასე მოხდა, მაგალითად, იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც 1981 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „პრავდაში“ სათაურით „გაჭიანურება“ — თავის დროზე სახალხო კონტროლიორებმა გამოავლინეს როსტოვის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სარემონტო-სახმენებლო სამმართველოში საწარმოო და ფინანსური დისციპლინის დარღვევის ფაქტები. მასალები გადაეცა ქალაქის ლენინის რაიონის პროკურატურას. ლამის ორ წელს გაჭიანურეს აქ მათი განხილვა. გაზეთის გამოსვლის შემდეგ პროკურატურის მუშაკს, რომელმაც მასალების განხილვა გაჭიანურა, სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. მაგრამ ამის შემდეგაც კიდევ ერთ წელს გაჭიანურდა საქმე. თქმა არ უნდა, ამ ამბავს არაფერი აქვს საერთო კრიტიკისადმი პრინციპულ დამოკიდებულებასთან.

რედაქციები ხშირად იღებენ პროკურატურის პასუხს პრესაში აღძრულ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. ფორმალურად პასუხი გაგზავნილია, მკითხველისათვის კი არაფერია შეტყობინებული მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. პარტიულმა კომიტეტებმა, მათმა ბუნდოვანმა ორგანოებმა უთუოდ ბოლამდე უნდა მიიყვანონ საქმე, ძალღონე არ უნდა დაიშურონ ამისათვის.

ბევრი პარტიული კომიტეტი არსებითად განიხილავს „პრავდის“ მკითხველთა წერილებში გამოთქმულ შენიშვნებს. მაგრამ არის მათ მიმართ ფორმალური, გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები, ცდები შეარბილონ კრიტიკა, „დაიცვან“ მისგან ცალკეული პირები. ისეც ხდება ხოლმე, რომ ვაი-ხელმძღვანელი გაზეთში სამართლიანი კრიტიკის შემდეგ სხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე გადაჰყავთ. განა ეს კადრებისადმი მომთხოვნელობის დაკნინება, კრიტიკისათვის ანგარიშის გაუწევლობა არ არის?

საბჭოთა პრესა მუდამ იყო და კვლავ არის კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწე. საბჭოთა ჟურნალისტები მომავალი პერიოდისათვის მოკმედების ხასელმძღვანელოდ აღიკვამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ეს გადაწყვეტილებები ხარედაკცია კოლექტივებისათვის გახდა კომუნისტური მშენებლობის საკვანძო მიმართულებებზე საბრძოლო გამოსვლების უშრეტი წყარო, ისინი მოითხოვენ შემდგომშიც ყოველმხრივ გაუჭრახსდეს ჟურნალისტური მუშაობის ხარისხი, ამაღლდეს ბეჭდვითი სიტყვის ქმედითობა.

მიფრინავს „კოსმოს-1438“

1983 წლის 27 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1438“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატური ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მომჭირნეობა და ყაირათიანობა რეზერვია

ᲒᲝᲠᲘ. (ხაკ. კორ.). მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის იანვარში ანალიზური ხელსაწყოების გორის საცდელი ქარხნის რ. დათიაშვილისა და ს. ბლუაშვილის ბრიგადები დღიური დავალების ნორმას ორმაგად ასრულებენ.

სწორედ ამ ბრიგადებმა გაიმარჯვეს შარშანდელი წლის შიდასაქარხნო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დიდად შეუწყეს ხელი ქარხნის საწარმოო მაჩვენებლების აღმასვლას.

ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ შარშანდელ მილიონ მანეთზე მეტი საერთო პროდუქცია გამოუშვეს, რეალიზებულია 6 მილიონ 821 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

თუ რარიგ ზრუნავდნენ ქარხანაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, ეს ციფრებიდანაც კარგად ჩანს. შარშან ხელსაწყოთმშენებლებმა დაზოგეს 108 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია; 16,2 შავი და სამი ტონა ფერადი ლითონი, 438 კალორული თბოენერგია.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვამ მკვეთრად აამაღლა ცალკეულ უბნებზე შრომისნაყოფიერება. ახლახან პლასტმასის უბანზე დაიდგა ნარჩენების დასამუშავებელი როტორული დანადგარი, რომლის წლიური თბოენერგია 4 ათასი მანეთია.

კოლექტივმა გადაწყვიტა წლეულს დაზოგილი მასალებისა და სათბობის ბარჯზე ათიათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

იუბილარი

ტანკერი

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ხაკ. კორ.). ზღვის მარილიანი წყლის თავისებურებისა და კოროზიის აქტიურობის გამო გემების საექსპლოატაციო ხანგამძლეობა მაინცდამაინც დიდი არ არის. ამიტომაც ტრადიციად იქცა ეკიპაჟების მიერ მრგვალი თარიღების საზეიმო აღნიშვნა. ასეთი თარიღები იმიტომაც არის საყურადღებო, რომ ეკიპაჟები აჯამებენ განვლილ პერიოდში გაწეულ საქმიანობას და სახავენ ახალ გეგმებს.

ახლახან 5 წლისთავი გადაიხადა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „გენერალ მერკვილაძის“ ეკიპაჟმა. ხომალდმა, რომელიც ბათუმელი მფრინავის გაბრო მერკვილაძის სახელს ატარებს, 5 წლის მანძილზე 70-ზე მეტი შორეული რეისი შეასრულა და 1,5 მილიონი ტონა ტვირთი გადაზიდა, დაზოგა 2 ათასი ტონა სათბობი და ორ ტონაზე მეტი ზეთი. ეკიპაჟი მრავალჯერ გამოვიდა გამარჯვებული საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტურ შეჯიბრებებში.

ტანკერი მეზღვაურთა წრთობის ნაადვილი სკოლა გახდა. ეკიპაჟის 24 წევრი კომუნისტური შრომის დამკვრელის სპატიო წოდებას ატარებს. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელი ეკიპაჟმა შორეული ნაოსნობით დაიწყო.

შარშანდელზე უკეთ

ქ. ტყიბულის და მისი ზონის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔᲥ ხუთწლედის მესამე, შუაგული წლისათვის ქ. ტყიბულისა და მისი ზონის მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის. გეგმის გადამატებით აწარმოებენ 3 მილიონი მანეთის პროდუქციას, ხოლო მთლიანად გამოუშვებენ 100 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მოლიან პროდუქციას, რითაც წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი 1982 წელთან შედარებით მიაღწევს 5,5 პროცენტს.

გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ: 20 ათას ტონა ქვანახშირს, 4.600 ტონა კონცენტრატს, 1.300 ცალ ტრანსფორმატორს, 200 კვადრატულ მეტრ გრანეტის ფილებს, 220 კუბურ მეტრ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, 100 ტონა შავ ბაიხაო ჩაის, 200 ათას ქილა დაკუპაჟებული წვენის კონსერვს; გეგმასთან შედარებით სპრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერებას გადიდებენ 1,5 პროცენტით; ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში მიაღწევს 6 პროცენტს. ათვისებული იქნება 5 სახეობის ახალი პროდუქცია; დაინერგება პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები.

მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის შედეგად დაზოგავენ 900 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 250 კუბურ მეტრ ხის მასალას, 24 ტონა ცემენტს, 1300 ტონა სათბობს, 260 ტონა ლითონს, 12 ტონა बენზინსა და დიზელის საწვავს და სხვ. რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღებენ 300 ათასი მანეთის პირობით წლიურ ეკონომიას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდება 19 მილიონ მანეთამდე, რითაც წარმოების ზრდის ტემპი მიაღწევს 7,5 პროცენტს. საზოგადოებრივ მეურნეობებში საერთო პროდუქციის წარმოება გაიზრდება 15 მილიონ მანეთამდე. სახელმწიფოს მიეყიდება 14 მილიონი მანეთის პროდუქცია. მიწების ეფექტიანი გამოყენებით ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღებენ 150 ათასი მანეთის პროდუქციას. მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მოყიდვის მოცულობა ერთობ მოიმატებს. დამზადდება 8.600 ტონა ხილი, 13.300 ტონა ჩაის ფოთოლი, 460 ტონა ყურძენი, 1.310 ტონა ხორცი, 1.625 ტონა რძე, 3.330 ათასი ცალი კვერცხი, 190 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდება: მარცვლისა — 5400 ტონამდე, ყურძნისა — 1.600 ტონამდე, რძისა — 4.900 ტონამდე, კვერცხისა — 4.500 ათას ცალამდე.

გადაჭარბებით შესრულდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის სულადობის გეგმები. სახოგადოებრივი მეცხოველეობისათვის დამზადდება 6.000 ტონა უხეში საკვები, მათ შორის თივა — 2.400 ტონა, სენაჟი — 1.300 ტონა; გარდა ამისა, ჩადებენ 7.000 ტონა სილოსს.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ მშენებლობაში გეგმის გადამეტებით შესრულდება 100 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გაიზრდება ბრიგადული იჯარის ფორმით მომუშავეთა რიცხვი, გასულ წლეთან შედარებით ბინათმშენებლობის ტემპი მოიმატებს.

ქალაქის ყოველგვარი ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა გადაჭარბებით შეასრულებს სახელმწიფო გეგმებს.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲡᲐ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მიღწეული იქნება საქონლბრუნვის გეგმების შესრულება. გაუმჯობესდება მომსახურების კულტურა.

ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ განხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი, ამაღლდება სწავლების ხარისხი, კვლავაც დიდი ყურადღება დაეთმობა ჯანმრთელობის დაცვის, სოციუზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

გაუმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა

კასპის რაიონის მშრომელთა 1983 წლის სოციალისტური ვალდებულებები

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის კასპის რაიონის მშრომელები თავდადებულ შრომობენ. 1982 წელს რაიონის სამრეწველო საწარმოებმა სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულეს 109,1 პროცენტით, წარმოების ზრდის ტემპი განისაზღვრა 110,8 პროცენტით, წარმოებული ზეგეგმითი პროდუქციის მოცულობამ 6.967 ათასი მანეთი შეადგინა, ექსპლოატაციაში შევიდა 6.530 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

წარმატებით იშრომეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, მატყლის, აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

1983 წლისათვის რაიონის მშრომელებმა უფრო მეტის გაკეთება იკისრეს. ახალი სოციალისტური ვალდებულებები ასეთია:

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ საწარმოები მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს უზრუნველყოფენ 250 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებას. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 2,5 პროცენტით, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება — 10 პროცენტით, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი — 22 პროცენტით; დაიზოგება ნახევარი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 150 ტონა ლითონი, 100 კუბური მეტრი ხეტყე, 300 ტონა ცემენტი.

გეგმის გადამეტებით გამოუშვებთ: ცემენტს — 2000 ტონას, შიფერს—200 ათას პირობით ფილას, მაგნიტურ სადგურს — 1000 ცალს, წითელ აგურს — 100 ათას ცალს, ცეოლითს — 500 ტონას, მობინადრეებს ჩაბარდებათ 2.700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ერთი 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, დამთავრდება პროფტექნიკური სასწავლებლის და სბავშვო ბაღის მშენებლობა.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ მთლიანი პროდუქციის მოცულობა (ფულადი გამონატულებით) ყველა კატეგორიის მეურნეობაში მიაღწევს 34.000 ათას მანეთს; მათ შორის საზოგადოებრივ მეურნეობებში — 17.500 ათას მანეთს. ვაწარმოებთ და სახელმწიფოს მივყიდით 1.600 ტონა მარცვლეულს, 7.500 ტონა ბოსტნეულს, 11.500 ტონა შაქრის ჭარხალს, 29.480 ტონა ხილს, 7.300 ტონა ყურძენს, 1.300 ტონა ხორცს, 4.125 ტონა რძეს, 2.730 ათას ცალ კვერცხს, 32 ტონა მატყლს, 14.1 ტონა აბრეშუმის პარკს; დავამზადებთ 21 ათას ტონა უხეშ საკვებს, მათ შორის თივას — 6.000 ტონას, სენაჟს — 9 ათას ტონას, სილოსს — 13.000 ტონას, საკვებ ძირხვენებს — 30 ათას ტონას.

ᲛᲝᲣᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ნაცვლად საგეგმო 26.495 ათასი მანეთისა მიეყიდება 26.555 ათას მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი. გაიწევა 587 ათასი მანეთის კომუნალური მომსახურება; შეძენილი იქნება 24 ათასი მანეთის კულტინვენტარი, დაიწყება საშუალო სკოლის, რვაწლიანი სკოლის და სბავშვო ბაღის მშენებლობა. სკოლების სარემონტო სამუშაოებისათვის დაიხარჯება 96 ათასი მანეთი, შეივიძენთ 91 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარს. სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის დაიხარჯება 66 ათასი მანეთი.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წამაცდენებისა და თვალის ახვევისათვის — მკაცრი პასუხისმგებლობა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი საწარმოა. მის კოლექტივს დიდი ნდობა გამოუცხადეს — დაავალეს პითვისოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი დიდტვირთიანი ავტოსაწევრების გამოშვება. ახლა აქ საწარმოს რეკონსტრუქციის დიდი სამუშაოები მიმდინარეობს, საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ საწარმოო სიმძლავრეებს. რეკონსტრუქციას წარმოება არ გაუჩერებია. საწარმოს კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულოს ხუთწლედის დავალებანი პროდუქციის მოცულობის, ნომენკლატურისა და ხარისხის მიხედვით, აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა. ქარხანაში შრომობს თავისი საქმის ბევრი ოსტატი. მაღალი შეგნებისა და საქმიანი აქტიურობის მაგალითს იძლევიან კომუნისტები.

მით უმეტეს შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს ქარხანაში მისი ხელმძღვანელობის მიზეზით ფეხი მოიკიდა მავნე ანტისახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ, როცა განზრახ ამახინჯებენ აღრიცხვასა და ანგარიშგებას, მიმართავენ წამატებებსა და თვალის ახვევას იმ მიზნით, რომ შეალამაზონ საქმის ვითარება, რომელიც არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად მკვეთრად გაუარესდა.

შეამოწმა რა მშრომელთა მიერ ხელმძღვანელ ორგანოებში გაგზავნილი სიგნალები, რესპუბლიკის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ძრავების ასაწყობ საამქროში გამოავლინა, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება ფაქტობრივი და საანგარიშგებო მონაცემები ძრავების დამზადების შესახებ. ეს გახდა მოლიანად ქარხანაში მზა პროდუქციის აღრიცხვის მდგომარეობის კომპლექსური შემოწმების საბაბი. ამის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო ანგარიშგებლობის უხეში დამახინჯების ფაქტები.

ქარხნის ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის სხდომამ. მინისტრის 1983 წლის 6 იანვრის ბრძანებით ქარხნის გენერალური დირექტორი ვ. ი. ხარებავა, ქარხნის დირექტორის პირველი მოადგილე ს. ი. ბრეგვაძე, ქარხნის დირექტორის მოადგილე — მთავარი ეკონომისტი გ. რ. გაბიძაშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მათი პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, რომლის გადაწყვეტილებით ვ. ი. ხარებავასა და ს. ი. ბრეგვაძეს გამოეცხადათ საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო გ. რ. გაბიძაშვილსა და მთავარ ბუღალტერს ი. ა. რუსაძეს — სასტიკი საყვედური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც განიხილა ქუთაისის ავტოქარხანაში სახელმწიფო ანგარიშგებლობის უხეში დარღვევის, წამატებებისაა და თვალის ახვევის ფაქტების საკითხი, დაეთანხმა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებას, მაგრამ გააუქმა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება როგორც დაუსაბუთებლად ლმობიერი, და ვ. ი. ხარებავას გამოუცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით; ს. ი. ბრეგვაძე გარიცხეთა სკკპ რიგებიდან.

აღინიშნა ქარხნის მთავარი ინჟინრის თ. ლ. გენძეხაძის უპრინციპობა, რომელიც გამოიჩინა მან, როგორც ტექნიკურმა დირექტორმა, წამატებათა ფაქტების მიმართ, რითაც ხელს უწყობდა მათ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მას მოსთხოვა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ მომავალში სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ყურადღება მიაპყრო ლიბერალიზმს, რომელიც მან გამოიჩინა ავტოქარხანაში წამატებათა ფაქტების განხილვის დროს, და აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ბიუროს მოქმედება შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და ავტოქარხნის რაიკომმა შეანელეს კონტროლი ქარხანაში საწარმოო დისციპლინის მდგომარეობისადმი, აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზებული პარტიული კონტროლი იდმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მათ მოსთხოვა გადაჭარბებით გააუმჯობესონ საგეგმო, საფინანსო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის შუმობა.

უკონტროლობა და უპასუხისმგებლობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანებზე. ზოგიერთი ეჩვევა წამატებების საშუალებით შენიღბოს თავისი უმოქმედობა, ზოგი უსირცხვილოდ იჯიბავს უპატიოსნო გზით ნაშოვნ ფულს, ზოგიერთები, ვითომდა აქ არაფერიაო, ცდილობენ მეურნეობის გაძღოლის უუნარობა გეგმის შესრულების ინტერესებთან გაამართლონ. უნდა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამასწინანდელ სხდომაზე აღინიშნა: საჭიროა უფრო გადაჭრით აღვკვეთოთ თანამდებობრივი ბოროტმოქმედება, უყაირათობა და სოციალისტური საკუთრების დატაცებანი, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ ამ მიზნით სამართლებრივ საშუალებათა მთელი არსენალი, ამასთან დამნაშავენი სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც კი მივცეთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი, მისი პარტიული ორგანიზაცია შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ მომხდარი ამბებიდან, გაიჩაღებენ დაუნდობელ ბრძოლას უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინებათა წინააღმდეგ, არ დაიშურებენ ენერგიასა და სიმტკიცეს გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. (საქინფორმი).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲡᲡᲠ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა VI საკავშირო კრილობამ, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობდა, 27 იანვარს მუშაობა დაამთავრა.

სამი დღის მანძილზე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა აქტივისტებმა 11-მილიონიანი რაზმის წარმომადგენლები აჯამებდნენ გაწეული მუშაობის შედეგებს, სახავდნენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში მოქმედების სტრატეგიას.

ყრილობამ მიიღო დადგენილება ᲡᲡᲠ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

არჩეულია სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭო და სარევიზიო კომისია.

იმავე დღეს გაიმართა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პირველი პლენუმი. სსრ კავშირის სამეცნიერო ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოს

პარტიული ცხოვრება

კომუნისტმა დავალება მიიღო

მაისში თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგადამამცემებელ ქარხანას 100 წელი სრულდება. ამ საწარმოს სახელოვანი წარსული აქვს. იგი არა მარტო საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის საფუძვლების ჩამყარელი და ინიციატორი იყო.

ქარხნის მთელი კოლექტივი, მისი პარტიული ორგანიზაცია დიდი გულმოდგინეობით ემზადება საიუბილეო თარიღის შესახვედრად. ყველა საამქროში, ბრიგადასა და სახელოსნოში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ამ დიდი სამზადისის სული და გულია საწარმოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 570-ზე მეტ კომუნისტს აერთიანებს. მათ ნახავთ ყველგან, ყველა საამქროსა და სახელოსნოში, ბრიგადაში... კომუნისტები არიან იქ, სადაც გადამწყვეტი და ყველაზე ძნელი სამუშაოა.

პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი კ. გუჯაბიძე) თავიდანვე ოპერატიულად შეიმუშავა ღონისძიებანი, რომ ქარხნის კოლექტივი ღრმად იცნობდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებებს, სხვა მასალებს.

ქარხანაში 14 საამქრო ორგანიზაცია და 28 პარტიული ჯგუფია. მათი მთავარი ამოცანა დღეს ის არის, რომ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კიდევ უფრო გააქტიურონ კოლექტივის ყველა წევრის საქმიანობა, აამაღლონ მთელი მუშაობის ხარისხი.

რა თქმა უნდა, მათ წინაშე დასახული ამოცანები იოლი გადასაწყვეტი როდი იყო. შარშან ეკ 17 მილიონ 430 ათასი ინდეთის პროდუქცია უნდა გამოეშვათ. ქარხნის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი ამ დავალებას. როგორც პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ლ. ტურიელაძემ გვითხრა, ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით 168 ათასი მანეთის პროდუქცია გამოეშვა. კომუნისტებმა საჯაროდ ნათქვამი ეს სიტყვა კონკრეტულ საქმედ აქციეს.

მოგეხსენებათ, ქარხნის ძირითადი პროფილია ვაგონებისა და სექციების ხარისხიანი გარემონტება. შარშანწინდელთან შედარებით, შარშან ვაგონების შეკეთების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარდა ამისა, ქარხანა უშვებს ფართო მოხმარების საქონელსაც. შარშან მომხმარებელს 122 ათასი მანეთის სხვადასხვაგვარი საქონელი მიაწოდეს.

პარტიული კომიტეტი, საამქრო ორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები ეძებენ საინტერესო ფორმებს, სრულყოფენ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მეთოდებს, ცდილობენ სულ უფრო აამაღლონ კომუნისტების ავანგარდული როლი. საამისოდ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიული დავალებების სწორად განაწილებას. მეტად საგულისხმოა თუნდაც ის ფაქტი, რომ კომუნისტების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს პარტიული დავალება.

როცა აქ, ამ მხრივ გაწეული საქმიანობის პრაქტიკულ მაგალითებს ვეცნობით, კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ პარტიული დავალებების შერჩევა-განაწილებისას ითვალისწინებენ კომუნისტის მუშაობის სპეციფიკას, ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას, განსაკუთრებით მათს სურვილსა და მისწრაფებას. კომუნისტების ერთი ნაწილი არჩეულია ერაციონალიზატორი, თბილისის საპატიო მოქალაქე, სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს წევრი, ყოველნაირად დაფასებული და პატივსაცემი კაცი. მან თავისი შვილი მერაბი ამ ქარხანაში მოიყვანა. მერაბ გაჩეჩილაძე ახლა საუკეთესო ზეინკალია, ფლობს რამდენიმე პროფესიას, დაუსწრებლად სწავლობს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტში, არის საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი, საქართველოს ალკკ თბილისის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრი. მამა — გ. გაჩეჩილაძე ამავე დროს არის შესანიშნავი დამრიგებელი, ახალგაზრდობის აღმზრდელი, მან ხუთ ახალგაზრდას უკვე შეასწავლა ხარატობა. ამაგდარი კომუნისტი ახლა კიდევ ორ ჭაბუკს ასწავლის თავის პროფესიას. აი, ასე ასრულებს ეგი ქარხნის პარტიული კომიტეტის დავალებას.

როდესაც მესამე საამქროში კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა, მის ხელმძღვანელად დანიშვნაზე პარტიულმა კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია დ. ცანავას. უფროსი კოლეგანი არც მოტყუებულან — ეს ბრიგადა სამღებრო სამუშაოებს აწარმოებს და ყოველთვიურ გეგმებს 130-135 პროცენტით ასრულებს. ბრიგადის წევრებმა უფასოდ შეღებეს აგიტმატარელი „საქართველოს კომკავშირი“, რისთვისაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელი დაიმსახურეს.

ისინი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მიცემულ პარტიულ დავალებას.

— პარტიული დავალებები მრავალფეროვან საკითხებს მოიცავს. მთელ რიგ კომუნისტებს აქვთ დავალება შეისწავლონ მოწინავეთა გამოცდილება, ყურადღებით გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, რათა მათი არც ერთი სასარგებლო წინადადება არ დარჩეს განუხორციელებელი.

მარტო შარშანწინ წამოყენებულ იქნა 242 რაციონალიზატორული წინადადება და ორი გამოგონება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 163, ამით ქარხნის მოგება 161.800 მანეთით გაიზარდა. საინტერესოა, რომ ქარხნის უფროსმა ტ. ჯაბაურმა წამოაყენა წინადადება ნახევრად ხისტი მომჭერის კონსტრუქციის შეცვლის შესახებ, რამაც 32 ათასი მანეთი დაუზოგა საწარმოს, ხოლო კომუნისტ მ. ბიტიუკაის მიერ შექმნილმა უნივერსალურმა ქანჩმა — 16.500 მანეთი. რაციონალიზატორებმა შარშან წამოაყენეს 260 წინადადება, რომელთაგან 180 დაინერგა. ეკონომიური ეფექტი კვლავ დიდია — 200 ათასი მანეთი მოგება.

პარტიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანია იდეოლოგიური საქმიანობა, მასების აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. ამიტომ პარტიული კომიტეტი პროპაგანდისტებად ისეთ კადრებს არჩევს, რომელთაც სამისო უნარი, ცოდნა და გამოცდილება აქვთ. პარტიული და ეკონომიკური განათლების ქსელის სხვადასხვა რგოლის 20 სკოლას და თეორიულ სემინარს გამოკვლილი პროპაგანდისტები უდგანან სათავეში. ხის დასამუშავებელი უბნის უფროსი, კომუნისტი ვიქტორ რთველაძე კარგა ხანია ეკონომიკური სწავლების საშუალო რგოლის სკოლას ხელმძღვანელობს. პროპაგანდისტი ყოველი მეცადინეობისათვის წინასწარ მონდომებით ემზადება, თეორიულ საკითხს უკავშირებს კოლექტივის, მთელი ქარხნის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. ამიტომ იქ მეცადინეობა ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს. ნაყოფიერი მუშაობისათვის წელს ვ. რთველაძეს რესპუბლიკის დამსახურებული პროპაგანდისტის სპატიო წოდება მიენიჭა.

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგადამამცემებელ ქარხანაში მართლაც კარგად არის დაყენებული კომუნისტებისათვის პარტიულ დავალებათა განაწილების საქმე. მაგრამ მიღწეული მხოლოდ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას უნდა იწვევდეს. კომუნისტები დღენიადაგ უნდა განმტკიცებდნენ დისციპლინას და საქმით უპასუხებდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის პატრიოტულ თაოსნობას დევიზით „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისავან ყველან და ყველაფერში!“

შ. ხეთაგური.

აგროსამრეწველო კომპლექსის ძირეული რგოლების მართვის საქმეში კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტია. ამდენად, იქ, სადაც მტკიცედ იცავენ სანიმუშო წესდების მოთხოვნებს, საზოგადოებრივი მეურნეობა აღმავლობის გზით მიდის და, პირიქით, იქ, სადაც ფორმალურად ეკიდებიან წესდებას, — ქვეითდება. უკანასკნელ პერიოდში კოლმეურნეობებში წესდების დაცვის ორგანიზაციის მოშლის გამო შესუსტდა პასუხისმგებლობა პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულებისათვის და სამეურნეო საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმად დადგა დავალებათა რეალიზაცია არის მიჩნეული.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, წინასწარი მონაცემებით, მარშანდელი გეგმების შესრულება დააკლდა — 70,5 ათასი ტონა მარცვლეული, 58 ათასი ტონა მზესუმზირა, 34,5 ტონა ხილი და ციტრუსი, 116,7 ტონა ყურძენი, 36,2 ათასი ტონა ხორცი და ა. შ. მცირე საწარმოო მაჩვენებლებისა და ფულად-მატერიალური საშუალებების ხელაღებით ხარჯვის შედეგად 91 კოლმეურნეობამ მარშანდელი სამეურნეო წელი 6,1 მილიონი მანეთი ზარალით დაამთავრა. ზარალიანმა კოლმეურნეობებმა იმატა თელავის, დუშეთის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ყაზბეგის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

კოლმეურნეობათა ზარალიანობა რომ, ძირითადად წესდების უხეში დარღვევის შედეგია, ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობაში, რომელიც წლების განმავლობაში რენტაბელურად მუშაობდა, ბოლო პერიოდში საშუალებამ მოთხოვნების სრული უგულებელყოფის შედეგად გაანიავეს და დაიტაცეს 344,5 ათას მანეთამდე ღირებული ფასეულობანი. კოლმეურნეობამ კი შარშან 306,6 ათასი მანეთი იზარალა. ნაცვლად პასუხისმგებლობის დაკისრებისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე მისთვის სასურველ ადგილზე გადაიყვანეს. მატერიალურ ფასეულობათა განიავება-დატაცების უარყოფითმა შედეგებმა კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენა ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის კოლმეურნეობის ეკონომიკას, მაგრამ ბრალეულებს პასუხი არ აგებინეს.

როცა რაიონის მასშტაბით ან ცალკეული კოლმეურნეობის მიხედვით საქმე გვაქვს ერთ ან რამდენიმე სახის გეგმის შეუსრულებლობასთან, შეიძლება მართლაც არსებობდეს ობიექტური მიზეზები, მაგრამ როცა არც ერთი სახის საგეგმო დავალება არ სრულდება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ სამეურნეო საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული, მის ხელმძღვანელებს ჩამორჩენიდან თავის დაღწევის უნარი და ცოდნა არ ჰყოფნით.

ქარელის რაიონის ზღუდერის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. აქ სოფლის მეურნეობის დიდმწარმოებლური მართვისათვის ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ, განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებია მეცხოველეობის მძლავრი განვითარებისათვის, მაგრამ წარმოების გეგმების შესრულებაში დიდ ჩამორჩენასთან ერთად 1975-1982 წლებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი შემცირდა 542 სულით, მათ შორის ძროხა — 72 სულით, წველადობა — 342 კილოგრამით, რძის საერთო წარმოება — 106,5 ათასი კილოგრამით; მეცხოველეობის დანახარჯების მატებამ კი 136,1 ათას მანეთს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობას ყოველწლიურად ეძლევა დამზადების სახით 130 ათასი მანეთი დოტაცია, ხელმძღვანელთა უუნარობამ მეურნეობა გამოუვალი ეკონომიკური სიძნელეების წინაშე დააყენა და საბრუნავ ფონდებში დანაკლისმა 357 ათას მანეთს გადაამტა.

თელავის რაიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის რენტაბელური გაძღოლისათვის, მაგრამ მეტაფიზიკურ ფილოსოფიაზე, რომ ბუნებით მომადლებული სიკეთე გონივრულად არ არის გამოყენებული და კოლმეურნეობებში არც ერთი სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა არ სრულდება. ამასთან უკანასკნელ პერიოდში წმინდა შემოსავალი შეადგინა 2 მილიონი მანეთით, ხოლო რენტაბელობის დონე — 35,1 პროცენტიდან 6,9 პროცენტამდე.

ცხინვალის რაიონის კოლმეურნეობებში დამკვიდრებული უკონტროლობისა და დაბალკვალიფიკაციური ხელმძღვანელობის შედეგად მოიშალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია და ამ საქმეში თავი იჩინა მინდობილი საქმისათვის აშკარა უპასუხისმგებლობამ. ამის გამო უკიდურესად დაქვეითდა სამეურნეო მაჩვენებლები და წლების მანძილზე არ სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები.

კოლმეურნეობის წესდების განუხრელი დაცვისა და საწარმოო მაჩვენებლების ამაღლების საქმეში დიდი როლი აკისრიათ ადგილობრივ სარევიზიო კომისიებს, მაგრამ ბევრგან ვერ გაეტეხა მათი მუშაობა და დღემდე იგი კვლავ ფორმალური ხასიათისაა. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით სავალდებულოა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია მიეწყოს წელიწადში 2-ჯერ. წლიური ანგარიშებით, 1981 წელს რესპუბლიკის 77 კოლმეურნეობაში რევიზია საერთოდ არ მოწყობილა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცრადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სიღნაღის, ყაზბეგის, ასპინძის, ვანის, ცხინვალის, ზნაურის, ხულოს და ზოგიერთ სხვა რაიონში.

რომ აღარაფერი ვთქვათ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების სრულ უმოქმედობაზე, ასპინძის რაიონში აგროსამრეწველო გაერთიანების საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მიერ მოწყობილი რევიზიების მასალებზე რეაგირება დიდი დაგვიანებით ან საერთოდ არ ხდება. ამ რაიონის ხელმძღვანელთა უსულგულო დამოკიდებულება საკოლმეურნეო საკუთრების დაცვისადმი იქამდე მივიდა, რომ სოფელ ოშორის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმის გამგეს ნ. მურმანაშვილს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობა შეუთავსეს. კიდევ უფრო მეტი წინდაუხედაობა გამოიჩინეს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეგნის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში, როცა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე შეცვალეს გამგეობის სხდომაზე.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ყაურმის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ს. მანუკიანმა ორი წლის მანძილზე, რევიზიისთვის ვერ მოიცალა, ანაზღაურების სახით კი მიღებული აქვს 700 მანეთი. ადიგენის რაიონის სოფლების უდეს და არალის ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიებს უკანასკნელ წლებში არც ერთი დოკუმენტური რევიზია არ მოუწყვიათ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეებს კი რევიზიისათვის მიღებული აქვთ 3.647 მანეთი. ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერის კოლმეურნეობაში რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სარევიზიო-საკონტროლო სამსახურმა ერთი წლის წინათ გამოავლინა 367 ტონა თივის, 250 სული ცხვრის, 7 სული მსხვილფეხა საქონლის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დატაცებადანაკლისები, მაგრამ რევიზიის შედეგები კოლმეურნეობის რწმენაუნულთა კრებაზე არც კი განუხილავთ. უფრო მეტიც, მთავარი ბუღალტრის მოადგილემ ნ. გაგლოევმა აღნიშნული დანაკლისების ფიქტობრივი დაფარვის მიზნით დამნაშავე პირებთან შეთანხმებით ყალბი დოკუმენტები გააფორმა, მაგრამ მისთვის ჯერჯერობით პასუხი არავის მოუთხოვია.

ზემდგომი ორგანოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, უყაირათობის, ფულად-მატერიალური საშუალებების ხელაღებით ხარჯვისა და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-განიავების შემთხვევები კვლავ ხშირია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე აღნიშნა: „გეგმები კვლავინდებურად დიდი დანახარჯებისა და საწარმოო ხარჯების ფასად სრულდება“. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში პროდუქციის წარმოების გეგმები არ სრულდება, დანახარჯები კი ერთ-ნახევარჯერ და მეტად აღემატება საგეგმო-ნორმატიულს.

დიდ უყაირათობას ვაწყდებით პირუტყვის საკვების ხარჯვაში. ყოველწლიურად ნორმის გადამეტებით, ჩამოიწერება 12,2 მილიონი მანეთის 829,5 ათასი ცენტნერი საკვები ერთეული, ყოველწლიურად კი შეისყიდება გაცილებით მეტი ღირებულების საკვები. შარშან 6 თვეში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ნორმის გადამეტებით დაიხარჯა 10 მილიონი მანეთის 695 ათასი ცენტნერი საკვები ერთეული.

საკვების მცდარ ჩამოწერასთან ერთად ზოგან პირუტყვის ჩამოწერაც ხელაღებით ხდება, ზნაურის რაიონის სოფელ თერეგვნის კოლმეურნეობაში სულ მოიკვლია 558 გოჯიდან გაწყდომის მიზეზით ჩამოიწერა 93 გოჯი და რეალიზებულად გაფორმდა 462 გოჯი (2.300 კილოგრამი ცოცხალი წონა), რეალიზაციამდე კი აღნიშნული გოჯების ცოცხალი წონა 5.340 კილოგრამს შეადგენდა. მეურნეობამ ამით არა მარტო იზარალა 3.040 კილოგრამი გოჯის ხორცი, არამედ სანაშენოდ დაჩტოვა მხოლოდ 3 · გოჯი და ამით შეწყვიტა ორრიგის საკუთარი გამრავლების შესაძლებლობა.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის კოლმეურნეობაში სანაშენოდ შემოყვანილი 158 დეკეულიდან ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად გაწყდა და იძულებით დაიკლა 64 სული, ზარალმა 99 ათას მანეთს გადააჭარბა, აქვე წლინახევრის 90 ღორის დანაკლისი არ გამოავლინეს და შემოსავალში გაუტარებელი ნამატით დაფარეს.

ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გაადიდონ და ამ საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგი დაამყარონ, ზოგ კოლმეურნეობაში ხელმძღვანელთა თვითნებობა იქამდეც მივიდა, რომ სამუშაოდ მოჰყავთ მოხეტიალე პირები, რომლებსაც პატიოსან მშრომელებთან შედარებით თანაბარი შრომისათვის ორჯერ მეტ ანაზღაურებას აძლევენ. ასეთ მოქმედებას დეზორგანიზაცია შეაქვს სამეურნეო საქმიანობაში და ძირს უთხრის საკოლმეურნეო წარმოებას. გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალატაანის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ 13 შემთხვევითს მოქალაქეს ვენახის სარის გადარჩევა-დაშტამბვისათვის ზედმეტად გადაუხადა 10 ათას მანეთამდე. თუ კოლმეურნეს აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის თითოეულ სარში 6 კაპიკს აძლევენ, დაქირავებულმა პირებმა 15 კაპიკი მიიღეს. ამასთან 1.985 მანეთი საშემოსავლო გადასახადი სახელმწიფოს რომ არ დარჩენოდა, დაქირავებულები ყალბად კოლმეურნეობის დროებით წევრებად მიიღეს. დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყრის კოლმეურნეობაში მეცხვარეობის დარგში დასაქმებულ კოლმეურნეთა საშუალო თვიური ანაზღაურება 128 მანეთს არ აღემატება, დაქირავებულ პირებს კი თითოეულს თვიურად 225 მანეთს აძლევენ.

საზოგადოებრივ წარმოებას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს აგრეთვე ცალკეულ ხელმძღვანელთა პირადი სურვილით კოლმეურნეობების დაუსრულებელი გაყოფა-გაერთიანება. წინასწარ ეკონომიკურად დაუსაბუთებლად, კოლმეურნეთა ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ოთხი წლის წინათ ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევის და სოფელ ნადაბურის ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობანი გააერთიანეს. ამის შედეგად კიდევ უფრო მოიშალა წარმოების ორგანიზაცია, შესუსტდა კოლმეურნეთა აქტიურობა და დაქვეითდა სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლები. მდგომარეობიდან თავის დასაღწევად შარშან ზემოხსენებული კოლმეურნეობა კვლავ გაყვეს. ასეთ დაუსაბუთებელ გაყოფა-გაერთიანებას თავი ვერ დააღწიეს საჩხერის, ჩოხატაურის, ქარელის და ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

სანიმუშო წესდების, როგორც საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონის დაცვის სადარაჯოზე, უწინარესად, უნდა იდგეს და მაგალითის იძლეოდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მას უფლება აქვს და მოვალეც არის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანოს ყოველი დარღვევა-დამახინჯება, რომელიც აფერხებს საზოგადოებრივი მეურნეობის წინსვლას და ზიანს აყენებს შრომისმოყვარე კოლმეურნეთა რწმენის განმტკიცებას. მაგრამ შეუძლიათ კი განაწესის შესრულება ისეთებს, რომლებიც თვითონ არიან ჩაფლული მოჩვენებითობის და უკანონობის ჭაობში? რა თქმა უნდა, არა.

ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუსის კოლმეურნეობაში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 12-ჯერ შეიცვალა თავმჯდომარე და მათი უმეტესობა სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. ან სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, როცა თავმჯდომარედ რეკომენდაციას აძლევდნენ ისეთ პირებს, რომლებმაც სხვაგან მუშაობა ჩაშალეს. ასეთი მაგალითები მეტ-ნაკლებად სხვა რაიონებშიც გვხვდება. საჩხერის რაიონის სოფელ სარეკის ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა (თავმჯდომარე — ი. ხვედელიძე) საშემოდგომო ხორბლის 20 ჰექტარი ნათესიდან მოსავალი 10 ჰექტარზე აიღეს, დანარჩენი 10 ჰექტარი აუღებელი დატოვეს. მერე ეს ფარობი დოკუმენტებში მომკილად ჩაწერეს. ამით მეორე საქმეც გააკეთეს. მოუმკელ ფართობზე ჩაცვენილი ხორბალი მეორე წელს თესვის გეგმის „შესრულებაში“. აჩვენეს, ასე რომ, სარეკელებმა ხვნა-თესვის და „მკის ახალი“ მეთოდი დანერგეს.

ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სარევიზიო კომისიებმა და იურიდიული სამსახურის მუშაკებმა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მკაცრად უნდა დააყენონ აქ მოყვანილი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის საკითხი, უფრო მტკიცედ მოჰკიდონ ხელი კოლმეურნეობის წესდების განუხრელ დაცვას.

რ. გელაშვილი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებში წესდების დაცვისადმი კონტროლის განყოფილების უფროსი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

● რა მოსდევს არაორგანიზებულობას, უდისციპლინობას, უყაირათობას რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ● როცა კოლმეურნეობის წესდებას არ იცავენ

უმაღლესი სკოლის საზრუნავი

ვამდიდრებდეთ ფორმითაც და შინაარსითაც

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების შემდგომი სრულყოფის საკითხები.

დღევანდელ პირობებში სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს განსაზღვრავენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე შემდგომ მიღებული უმნიშვნელოვანესი პარტიული და სახელმწიფო დოკუმენტები. სწორედ ამ მოსაზრებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, როცა ვფასებთ უმაღლესი სკოლის საზოგადოებრივი დისციპლინების სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას, მთელ აღმზრდელობითს პროცესს. როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო განვითარების ახალი ამოცანების, ისე საერთაშორისო ცხოვრებაში მოსმხდარი ახალი მოვლენების, ტენდენციების, კანონზომიერების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე მეცნიერული ანალიზით მიღებული ცოდნა თეორიულად უნდა ამდიდრებდეს და მეთოდურად შემდგომ ხვეწდეს მთელ სასწავლო ლიტერატურას.

ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა, რომელიც ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების გაერთიანებული ძალებით უნდა გადაწყდეს, ეს არის სპეციკურსის შექმნა, რომელიც თანამედროვე სანტიკომუნიზმის შინაარსს, და ფორმებს გამოამზეურებს, ნათელს გახდის მის სოციალურ არსს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების თანამედროვე დონეზე დაყენება მოითხოვს არა მხოლოდ ცხოვრებისეული და მეცნიერული ნიახლეებისადმი ყურადღებას და სასწავლო პროცესში მათ ოსტატურ დანერგვას, არამედ ამ მეცნიერებათა სტაბილური შინაარსის მაღალ პროფესიულ დონეზე სისტემურ სწავლებასაც.

ამგვარ სისტემურ სწავლებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ღრმად დაუფლებას სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ, რადგან, პირველ ყოვლისა, იგი ხდის ნათელს რევოლუციონერთა მძლავრი ორგანიზაციის ჩასახვის, აღმოცენებისა და ზრდის, გაფმტკიცებისა და განვითარების ისტორიის კანონზომიერებებს, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის კომუნისტების თავდაუზოგავი, შეუპოვარი, თანამიმდევრული ბრძოლის ისტორიას. ამ ისტორიის შესწავლა მიზნად ისახავს სტუდენტობაში პარტიის საქმისადმი ერგულები, ზალხისა და პარტიის ერგული ერთიანობის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის, ისტორიული ოპტიმიზმის გრძნობების ჩანერგვას.

უმაღლეს სკოლებში შესასწავლ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური ეკონომია, რომლის დაუფლებაც სტუდენტებს თვალსათლივ უჩვენებს კაპიტალიზმზე სოციალიზმის ეკონომიკური ფორმაციის, ისტორიულ უპირატესობას, ბადებს მათში პასუხისმგებლობის გრძნობას ამ უპირატესობათა პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ეს გარემოება განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერული კომუნიზმის სწავლების იდეურ-თეორიული და მეთოდური დონის შემდგომი ამაღლების საკითხები. ჩვენ მოვალენი ვართ ახალგაზრდა თაობას ღრმად და მეთოდურად ჩავუნერგოთ აზრი, რომ პარტიის პოლიტიკის მეცნიერულობა განპირობებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერული თეორიის არსებობით, რომ სწორედ ეს ქმნის ყოველგვარი სუბიექტივიზმის და ვოლუნტარიზმის აუცილებელი დაძლევისა და სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობის სიძნელეების გადალახვის მკვიდრ საფუძველს. ასევე აქტუალურია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის, სტუდენტთა ათეისტური, ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის საკითხები.

ჩვენი, უმაღლესი სკოლის მასწავლებლების ვალია არ დავიშუროთ ენერგია და გამოცდილება ამ სადღესო და უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

რ. კვიშენაძე,
ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.

რესპუბლიკის მეცხვარეები ნაადრევ დოლს შეუდგნენ. ბევრ მეურნეობაში ამ პასუხსაგები კამპანიისათვის დაათბუნეს ფარეხები ნამატისათვის, უხვად მოამზადეს საკვები.

ხუთი ათასზე მეტი ცხვარი ჰყავთ გარდაბნის რაიონის მარტყოფის მეგობარეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ფარაში, მათ შორის სამი ათასი ნერგია. აქ კარგად მოემზადნენ დოლისათვის. მწყემსები ყოველ ას ნერგზე 95 ბატკანს იღებენ, რაც შარშანდელთან შედარებით სამით მეტია.

სურათზე: მარტყოფის მეგობარეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე გურამ ბედიანაშვილი (მარჯვნივ) და მწყემსი იბრაგიმ მეიდჰანოვი ქმაყოფილი არიან ნამატით.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალური განყოფილება

საგაზაფხულო თესვის მოამზადება-ჩატარების დამატებითი ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1983 წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მომზადებისა და ჩატარების დამატებითის ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახსოფლტექნიკას, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ცენტროსოიუზს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დაავალა უზრუნველყონ 1983 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულება. ამ მიზნით მათ წინადადება მიეცათ:

განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა ეფექტიანად უზრუნველყონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მაღალხარისხოვანი თესლითა და სანერგე მასალებით, დროულად დაამთავრონ მუშაობისათვის მანქანა-ტრაქტორების პარკის მომზადება, დაკომპლექტონ მეურნეობები მექანიზატორთა კადრებით;

აამაღლონ მეურნეობებში ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, სარწყავი და დაშრობილი მიწების, ტექნიკისა და სხვა რესურსების გამოყენების ეფექტიანობა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ბოლოსტნეულის მეურნეობის სამინისტ

27 იანვარი

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკვლევი
იუწყება

რედაქციაში ფერილი მოვიდა

დანაშაულს ქვეყანი უნდა ვებრძოდეთ

ვაჭრობა, მომხმარებელი

კატივცემულო რედაქცია! მე და ჩემი მეუღლე სტუდენტები ვართ, ვსწავლობთ ქ. ქუთაისში. ვცხოვრობთ გორის ქუჩაზე, თვითმმართველობის უნივერმაღის ახლოს. გვყავს შვილი, ახლახან ერთი წელი შეუსრულდა. მოგეხსენებათ, ბავშვს რამდენი რამ სჭირდება, ჩვენც სტიპენდიითა და სოფლიდან მშობლების მიერ გამოგზავნილი დანაზოგით ვცდილობთ პირმშოს სიკეთე არ მოვაკლოთ. აქ კონკრეტულად ერთ საკითხს მინდა შევეხო. სამწუხაროდ, ერთსა და იმავე უბრალო პროდუქციას ორმაგი იარლიყი აქვს დაკრული. მაგალითად, ამას წინათ უნივერმაღში შევიძინე ბავშვის მაისურები, რომელსაც ეწერა 2 მანეთი და 65 კაპიკი. უნდა გაეყიდათ კი ერთ მანეთად და 65 კაპიკად. ბავშვის 75-კაპიკიან ქვედა საცვალში ერთი მანეთი და 30 კაპიკი გადამახდევინეს. რას ბავს ეს? ამაზე მეტი თაღლითობა და ადამიანის მოტყუება შეიძლება?

აღშფოთებული მივედი თვითმმართველობის უნივერმაღის ტრიკოტაჟის სექციაში, ერთ-ერთ გამყიდველს ვკითხე — ამას როგორ ბედავთ-მეთქი. მან ჩემი გულისწყრომა არაფრად ჩაგდო და გამჭირდავად მიპასუხა — იარლიყების დაწესებას ჩვენც ვერ ვგებულობთ, ყველაფერს სექციის გამგეები აკეთებენო.

თვითმმართველობის უნივერსალურ მაღაზიაში დანაშაული სხვაც ბევრია, მაგრამ აქ ყალბისმქნელებს რატომღაც ხელს აფარებენ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?"

ასეთი წერილი მიიღო რედაქციამ, რომელსაც ხელს აწერს ნათია ფირცხალავა. სამწუხაროდ, მითითებული არ არის არც ზუსტი მისამართი და არც ინსტიტუტის სახელწოდება, სადაც იგი სწავლობს.

და, აი, ვეწვიეთ ქუთაისის საბალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის მოადგილეს გ. მამალაძეს. სათანადო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე შემოწმებამ წერილში მოყვანილი ფაქტები ვერ დაადასტურა.

გ. მამალაძემ გვითხრა: ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს მიერ ბოლო ხანებში გაჩაღებულია უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. მართალია, ძირითადად, ყოველივე ეს პროფილაქტიკური მუშაობით შემოიფარგლება, მაგრამ მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები, სისლის სამართლის პასუხისგებაშიც კი მივცემთ იმ ვაი-მუშაკებს, რომლებიც აბუჩად იგდებენ მომხმარებელს, ატყუებენ მას, ცდილობენ იოლი გზით ხელის მოთბობას. ისიც აღსანიშნავია, რომ სამმართველო ქალაქის ყველა მაკონტროლებელ ორგანოს წინასწარ მოახსენებს ხოლმე სწრაფსაერაციოზაციო საქონლის შემოზიდვის ვადებს. სისტემატიურად ეწყობა დიდი მოთხოვნილების საქონლის შეტანა ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში. მარტო შარშან ამ წესით რეალიზებულია 2 მილიონ 450 ათასი მანეთის საქონელი. გაძლიერდა სამმართველო აპარატის კონტროლი ვაჭრობის წესების დაცვისადმი, მაგრამ 1982 წელს დარღვევებმა მაინც 29,8 პროცენტი შეადგინა. ჩვენმა საორგანიზაციო განყოფილებამ შეამოწმა 901 ობიექტი: აქედან დარღვევები გამოვლინდა 263-ში, მათ შორის ზომა-წონაში და ანგარიშში მოტყუების ფაქტები აღმოჩნდა 52-ში, ფასების გამოუცხადებლობისა — 35-ში, საქონლის გადანახვისა — 10-ში და ა. შ. გამოვლენილ დარღვევებზე საგამომძიებო ორგანოებს გადაეცა რამდენიმე საქმე, სამუშაოდან დათხოვნილია 8 კაცი, დაბალ სამუშაოზე ჩამოქვეთდა 9 მუშაკი, დისციპლინური სასჯელი დაედო 250 კაცს.

გაზეთის მკითხველის წერილში მოყვანილი ფაქტის მსგავსად, თვითმმართველობის უნივერმაღში გამყიდველმა ლაღი რევიზორმა 8 წყვილ წინდაში 12 მანეთისა და 80 კაპიკის ნაცვლად 20 მანეთი აიღო, ესე იგი მომხმარებელს 7 მანეთი და 20 კაპიკი წაგლიჯა. ამ ფაქტის გამო თვითმმართველობის უნივერმაღის დირექტორი მ. ფაფურიანი განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო გამყიდველ ლ. რევიზოვილს საქმე საგამომძიებო ორგანოებს გადაეცა.

სავაჭრო წესების დაცვისადმი, მთელი საზოგადოებრიობის დახმარებით, მტკიცე კონტროლის დაწესება შეიძლება, ოღონდ მეტ დახმარებას მოველით მშრომელებისაგან.

ასე დაამთავრა საუბარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ. ნათია ფირცხალავას (თუ ეს სახელი და გვარი სწორად იქნებოდა მითითებული ამ მამხილებელ წერილში) კონკრეტული ფაქტის გამო მაკონტროლებელი ორგანოებისათვის რომ მიემართა, ჩვენ ხომ არ გაგვჭირდებოდა აღნიშნული ფაქტის დადგენა? სამწუხაროდ, დარღვევები და დამანინჯებანი ჯერ კიდევ ბევრი რომ არის ვაჭრობის ქსელში, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ თითოეული მოქალაქე, ქალი იქნებოდა იგი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, გულთან თუ ჰიტანდა იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ დანაშაულს ყველანი უნდა ვებრძოდეთ, მაშინ დარღვევები ყველა სფეროში მინიმუმამდე შემცირდება.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სხვათა კარზე

ბრომის სასოფლო გზაზე სანდომიანი მოხუცი შემომეყარა. მეზობელ სოფელში ტომრით სიმინდი მიეჰინდა დასაფქვავად. როცა გიგო რედაქციის თანამშრომელი ვიყავი, თავისი გულისნადები გამიზიარა:

— ბრომის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე 200-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. ამ მთის სოფლის მცხოვრებთ წინათ წყლის წისქვილი გვქონდა. დოლაბები გაცვდა, შენობა დაძველდა. ნელ-ნელ და წესრიგში მოყვანა შეიძლება, მაგრამ არვინ ფიქრობს. ხუთი წელია ასე ვწვალობთ, ბოროს რაიონის სოფელ მეჯვრისხევში ჩაგვაქვს საფქვავი, ვისაც საკუთარი მანქანა აქვს, რა უშავს. ღმერთმა ააშენოს, კარგი მეზობლობა გვაქვს, პირველ რიგში ჩვენ გვიფქვავენ.

— აბანო თუ გაქვთ?

— გვქონდა. აღარც ის მუშაობს. შენობა მეურნეობის კანტორის იზის პირას ახლაც დგას, არც მისი შეკეთებაა საძნელო. მაგრამ რად გინდა, წყალი სასმელად არა გვაქვს და აბანოსთვის კინ გაიმეტებს. ნუ იმუშავებს აბანო, ოღონდ სასმელი წყალი გვქონდეს და... ახლა მეტი გზა არა გვაქვს, მეჯუდას წყალსა ვსვამთ. პირის გასაპარსადაც შეჯვრისხევში მივდივართ, ფეხსაცმელების შესაკეთებლადაც... სიცრცხილი არ არის ჩვენს დროში ასეთი ფვრილმანებისთვის სხვათა კარზე სიარული?

— რაიონის ხელმძღვანელობას რატომ არ აცნობეთ თქვენი გასაჭირი?

— განა ერთხელ და ორჯერ ვაცნობეთ. პირადად მე ამ საკითხებზე მივმართე სასოფლო საბჭოს, რაისაბჭოს აღმასკომს, სოლოქა საბჭოს აღმასკომს. მერე კოლექტიური საჩივარი გავგზავნეთ რესპუბლიკის მთავრობაში. ამან გაჭრა, ამას წინათ ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომიდან ასეთი პასუხი გამოგვიგზავნეს,— თქვა მოხუცმა ა. ხაჩიროვმა და ენის ჯიბიდან ოთხად მოკეცილი ქაღალდი ამოიძვრინა, თან დაამატინა: გვაპატიეთ ყველას გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. მე და ჩემისთანა მოხუცები აქედან ფეხის მომცვლელები არა ვართ, მაგრამ ახალგაზრდობა სოფელში აღარ ჩერდება.

რაისაბჭოს აღმასკომის მიმართვაში კი ეწერა: თქვენი საჩივარი 1981 წლის 13 ოქტომბერს განიხილა ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომმა; გრომელები ნამდვილად განიცდიან სასმელი წყლის ნაკლებობას, არ მუშაობს წისქვილი, ხეტუის სახერხი, აბანო, სპარიკმახერო...

ბრომის სასოფლო საბჭოს აღმასკომს დაეკალა არსებული წყალსადენის სისტემის შეკეთება, ბრომის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს — არსებული შენობის ბაზაზე აბანოს მოწყობა, რაისაყოფაცხოვრები მომსახურების კომბინატს — გახსნას სპარიკმახერო, ფეხსაცმელების შესაკეთებელი სახელოსნო და სხვა მომსახურების ობიექტები...

დრო გადის. ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებას რომ შესრულება უნდა, ამაზე არ ფიქრობს ბრომის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, არც ბრომის საბჭოთა მეურნეობის დირექცია და არც საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული კომბინატის ხელმძღვანელობა.

ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომმა არ უნდა დაივიწყოს თავისი დადგენილება. მთის სოფლების სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებისთვის საჭიროა განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება.

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დღესასწაულს მიეძღვნა

გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ინდოელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს— რესპუბლიკის დღეს და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოების შექმნის 25 წლისთავს.

კრება გახსნა თბილისის საბალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ეჯიბაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. გამყრელიძემ.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" ხარატი რ. ქემოკლიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კენჭოშვილი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. სადუნიშვილი.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე. (საქინფორმი).

სოციალისტურ ქვეყნებში

● გდრ

მნიშვნელოვანი წვლილი

ბერლინი. ბერლინის ავიაჯის კომბინატის საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საწარმოს საინჟინრო-საკონსტრუქტორო ბიურო. ეს ითქვა კომბინატის პროფკავშირულ აქტივისტთა კონფერენციაზე, რომლის შემადგენლობაში შედის სამოცზე მეტი საწარმო. მიღებულია გადაწყვეტილება წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 15,5 პროცენტით და პროდუქციის გამოშვება გაადიდონ 33,4 პროცენტით.

ამ ამოცანის შესრულებას ხელს შეუწყობს საინჟინრო-საკონსტრუქტორო ბიურო. მისი სპეციალისტები ითვალისწინებენ საწარმოო უბნების რეკონსტრუქციას, რომლის დროს ეარაუდობენ წარმოებაში დანერგონ დაახლოებით 80 სამოქმედო რობოტი. ამავე დროს მუშები და სპეციალისტები, რომლებიც მოწინავე გამოცდილებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს იყენებენ, ცდილობენ გაუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი. თუ ხუთწლედის პირველ წელს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის 17 პროცენტი გამოუშვეს, 1985 წლისათვის ეს მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს 50 პროცენტამდე, ხუთწლედის დამლევისათვის კომბინატში განახლდება ნაწარმის მთელი ასორტიმენტი.

● უნგრეთი

ახალი ტიპის მოტორები

ბუდაპეშტი. 240 და 290 ცხენის ძალის სიმძლავრის ორი ახალი ტიპის მოტორის გამოშვება დაიწყო უნგრეთის ქ. დეორის ვაგონ და მანქანათაშენებელ ქარხანა „რაბაში". „იკარუსის" ავტობუსებისათვის გათვალისწინებულმა ძრავებმა დასაბამი მისცეს მოტორების სერიას, რომლებიც გამორიჩევიან საწვავის ეკონომიური მოხმარებით და ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ნაკლები დონით. უნგრეთის საწარმოში უკვე კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ახალი, უფრო სრულყოფილი ნაწარმის გამოშვებით დაიწყონ ხოლმე შრომითი წელი. კონსტრუქტორთა ინიციატივიანობა, მუდმივი შემოქმედებითი ძიება „რაბის" კოლექტივს შესაძლებლობას აძლევს სახელი გუთქვას ქარხნის მარკას, არ შელახოს თავისი პროდუქციის რეპუტაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. გასულ წელს დიორის მანქანათაშენებლებმა წარმატებით შეასრულეს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მიწოდების საექსპორტო ვალდებულებანი.

● ჩეხოსლოვაკია

ჰიდროშენებელთა გეგმები

პრაღა. ჩეხოსლოვაკიელმა ჰიდროშენებლებმა დაიწყეს მდინარე ვაგზე — დუნაის დიდ შენაკადზე ნოსნობის განვითარების გეგმის განხორციელება. მდინარე ვაგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინება და სლოვაკიის მთელ ტერიტორიას კვეთს.

ფარვატერის გაღრმავებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რეკონსტრუქციის სამუშაოების განხორციელების შემდეგ უკვე გაისად უნდა გაიყვანონ კარჭაპების პირველი ქარავანები ვაგის 75 კილომეტრ მონაკვეთზე კომარნოდან ქალაქ სერედამდე. მომავალი ხუთწლედის მანძილზე ნოსნობა მდინარეში გაგრძელდება დუბნიცამდე, ხოლო პერსპექტივაშია ქალაქი ვრუტაკი, ტატრების მთისწინეთში.

● ინგლისი

„ არ გვინდა ფრთოსანი რაკეტები!"

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატები სულ უფრო აქტიურად ითრევს კანადას თავის მილიტარისტულ გეგმებში და არ ფარავს, რომ კანადის ტერიტორია ბირთვულ-რაკეტული იარაღის ახალი ნიმუშების გამოცდის პოლიგონად მიაჩნია.

როგორც გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" იუწყება, ვაშინგტონსა და ოტავას უკანასკნელი შტრიხები შეაქვთ შეთანხმებაში, რომელიც პენტაგონს შესაძლებლობას მისცემს მოაწყოს ამერიკული ფრთოსანი რაკეტების საცდელი გაშვება ალბერთის პროვინციაში. ამ რაიონმა შემთხვევით როდი მიიპყრო ამერიკის შეერთებული შტატების დებატორების რელიეფი და კლიმატიური პირობები. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ადგილმდებარეობის რელიეფი და კლიმატური პირობები აქ ციმბირისას წააგავს".

პოლიტიკური მიმმხილველნი ხაზს უსვამენ, რომ თავის ტერიტორიაზე ფრთოსანი რაკეტების გამოცდის მოწყობის შესახებ ვაშინგტონმა კანადა შეეპირა ტრადიციული გზით — „ძაღლების მტვრევის" აშკარა ტაქტიკის მეშვეობით. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, „კანადის მთავრობამ ითხოვა გადაედოთ შეთანხმების ხელმოწერა ქვეყნის მოსახლეობის დიდი პროტესტების გამო, მაგრამ „ამერიკელ ოფიციალურ პირთ იმედი აქვთ, რომ დოკუმენტს უახლოეს ხანს მოაწერენ ხელს".

გელაპის სამსახურის მიერ მოწყობილი კანადის საზოგადოებრიობის გამოკითხვის შედეგების თანახმად „ნეკერჩხლის ფოთლის" ქვეყნის მცხოვრებნი ილაშქრებენ კანადაში ამერიკული იარაღის გამოცდების წინააღმდეგ.

ოტავა. „არ გვინდა ფრთოსანი რაკეტები!", „ვგმობთ პენტაგონის ბირთვულ გეგმებს" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა აქ მასობრივი დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ კანადა რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული გამალებული ბირთვული შეიარაღების თანამონაწილე ხდება. ხელისუფლებმა მანიფესტანტთა წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რომლებიც ხელკეტებით დაერივნენ გამოსვლების მონაწილეებს და გარეკეს ისინი.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში დემონსტრანტებმა გადაჭრით დაგმეს კანადის მმართველი წრეები, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ გეგმებს.

● ოტოტოინფორმაციია

შეწყდეს თავხედური ჩარევა

მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები საფრანგეთში

ახალი მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციებით უპასუხეს საფრანგეთის პროგრესული საზოგადოებრიობა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც დიდი ტანჯვა-ვაეების და სისხლის ფასად უჯდებათ ცენტრალური ამერიკის ხალხებს.

ამას წინათ სალვადორის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ხელისუფალთა მიერ ვაშინგტონის ლოცვა-კურთხევით გაჩაღებულმა ტერორმა სამ წელიწადში 42 ათასზე მეტი ადამიანი შეიწირა. გვატემალაში მსხვერპლთა რიცხვმა 83 ათასი შეადგინა.

პარიზში გამართული საპროტესტო მანიფესტაციის მონაწილეებმა (სურათზე) რ. რეიგანის მთავრობისაგან მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ თავხედური ჩარევა ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში, და სოლიდარობა გამოუცხადეს სალვადორისა და გვატემალის ხალხების სამართლიან ბრძოლას სისხლიანი დიქტატურების წინააღმდეგ, რომელებსაც ყოველნაირად უჭერს მხარს ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაცია.

საკვლევი ფოტო.

● აშშ

რ. რეიგანის გამოსვლა

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე პრეზიდენტი რ. რეიგანი გამოვიდა ტრადიციული ყოველწლიური წერილით „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ". მისმა სიტყვამ ცხადყო, რომ მის ადმინისტრაციას ჯერ ვერ ასწავლა ბოლო ორი წლის სავალალო გამოცდილებამ და იგი აპირებს კვლავაც ჯიუტად განახორციელოს სამხედრო ხარჯების ყოველშრომი გადიდების სახელგატეხილი კურსი, ამასთან შეკვეცოს სოციალური პროგრამები, რითაც ძირს გამოუთხრის მილიონობით ამერიკელს კეთილდღეობას.

პრეზიდენტი იძულებული იყო თავისი გამოსვლა მიეძღვნა უწინარეს ყოვლისა ეკონომიკის პრობლემებისათვის, რომელიც როგორც თავად აღიარა, „სავალალო მდგომარეობაშია". „მეტად ბევრი ჩვენი მოქალაქისათვის — ფერმერებისათვის, მეფოლადეებისა და ავტომშენებლებისათვის, ტყის მჭრელებისათვის, ზანგი მოზარდებისა და მოუშავე დედებისათვის — ეს მტანჯველი პერიოდია", — ჩიოდა პრეზიდენტი. რ. რეიგანმა ახლანდელი ეკონომიკური კრიზისის მსხვერპლთა ზედრს „მძიმე განსაცდელი" უწოდა. უმუშევრობა, განაცხადა პრეზიდენტმა, მეტად მაღალ დონეზეა, მრეწველობის დაქვეითება უფრო ღრმა გამოდგა, ვიდრე მთავრობა მოელოდა, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი აშკარა და რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. როგორც რ. რეიგანმა თქვა, შეერთებულმა შტატებმა უნდა „აამოქმედოს თავისი მოშლილი ეკონომიკური მანქანა".

შემდეგ პრეზიდენტი დასჯერდა ქვეყნის ისეთი მწვავე საშინაო პრობლემების ჩამოთვლას, როგორიცაა განათლების სისტემის კრიზისი, დისკრიმინაცია სქესის მიხედვით, დამნაშავეობის გავრცელება, სოფლის მეურნეობის მშრომელთა მძიმე მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურების მეტისმეტად მაღალი ღირებულება და სხვა. „პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, უდიდესი და საშიშია" — აღნიშნა რ. რეიგანმა, და განაცხადა, რომ მათი დაძლევისათვის „გრძელი გზის გავლა" იქნება საჭიროო.

როგორც მოსალოდნელი იყო, რ. რეიგანმა კვლავ სცადა თავისი წინამორბედისათვის დაეკისრებინა მთელი პასუხისმგებლობა ნამდვილად კატასტროფული მდგომარეობისათვის, რომელიც ქვეყანას შეუქმნა მისი ადმინისტრაციის პოლიტიკამ, მაგრამ, როგორც პოლიტიკური მმომხილველები აღნიშნავენ, ეს მტკიცება ფაქტებთან ელემენტარულ შედარებასაც ვერ უძლებს. მაგალითად, როცა რ. რეიგანი მოვდა ხელისუფლების სათავეში, ქვეყანაში უმუშევრობა მოიცავდა მუშახელის საერთო რიცხვის 7,4 პროცენტს. ახლა, მთავრობის აშკარად შემცირებული მონაცემებითაც კი, იგი მოიცავს 10,8 პროცენტს, ანუ 12 მილიონ ამერიკელს,

ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც როგორც მან თქვა, ახლა ასე „აწუხებს" რეიგანს და რომლის ლიკვიდაციას ჰპირდებოდა ამერიკელებს თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მიმდინარე საფინანსო წელს, როგორც მთავრობის ოფიციალური პირები აღიარებენ, 200 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ახლანდელი ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში ყოფნის ორი წლის მანძილზე ქვეყანა ისეთმა ღრმა კრიზისმა მოიცვა, რომელიც თავისი მასშტაბით უახლოვდება 30-იანი წლების „დიდ დეპრესიას". შარშან ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო საწარმოების სიმძლავრეთა მხოლოდ 67,3 პროცენტი იყო დატვირთული, მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა 1,8 პროცენტით შემცირდა. იკლო საბინაო მშენებლობის მოცულობამ, გაუარესდა მრავალი სხვა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელიც. სიღარიბის ოფიციალურ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანთა რიცხვმა 32 მილიონს მიაღწია, ახლანდელი ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში ყოფნის მანძილზე. ყოველივე ეს შედეგია ადმინისტრაციის ანტიხალხური პოლიტიკისა, რომლის განხორციელებასაც, როგორც პრეზიდენტის წერილი მოწმობს, იგი კვლავ აპირებს. მთავარი ღონისძიება, რომელსაც რ. რეიგანი სახავს ეკონომიკის პრობლემების გადაჭრისათვის, ეს არის ფედერალური ხარჯების „გაყინვა".

წერილის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში რ. რეიგანმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიას „საფუძვლად უნდა ედოს ძალა— ეკონომიკური ძალა და სამხედრო ძალა". ამასთან დაკავშირებით მან ყოველნაირად შეასხა ხოტბა „ამერიკის ხელახალი შეიარაღების" უპრეცედენტო პროგრამას, რომელიც მომავალ ხუთ წელიწადში ამერიკელებს ასტრონომიული თანხა — 1,6 ტრილიონი დოლარი დაუჯდებათ.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას, რომელსაც მან ამერიკის საგარეო პოლიტიკის „უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი" უწოდა, რ. რეიგანი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყოს მიღწიოს ამ ურთიერთობაში „პოზიტიური ცვლილებებს". მაგრამ მის მიერ ჩამოყალიბებული ადმინისტრაციის კონკრეტული გეგმები არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ვილაპარაკოთ უკეთესობისაკენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შეცვლაზე. მან დაუფარავად სცადა დაემახინჯებინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა. თეთრი სახლის შეპატრონე დაუსაბუთებლად მიაწერდა საბჭოთა კავშირს „აგრესიისადმი" სწრაფვას. მან მმართა ბინძურ მნიშვნელობას იმის თაობაზე, თითქოს საბჭოთა კავშირს „გამოეყენებინოს" ქიმიური იარაღი, და ამ მონაჭორების მიზანი იყო მიეჩქმალა თავად ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებული ფართო მზადება ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომისათვის.

თუმცა რ. რეიგანმა აღიარა ის უდავო ფაქტი, რომ ძვირად ღირებული გამალებული შეიარაღების შეწყვეტა შეესაბამება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე შეერთებული შტატების ინტერესებს, მაგრამ მას არ წამოუყენებია არავითარი კონსტრუქციული წინადადება თანამედროვეობის ამ ყველაზე საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრის შესახებ. შეეხო რა მოლაპარაკებას ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე, იგი დასჯერდა ფსევდონულოვანი ვარიანტის გამეორებას, რომელიც ფაქტობრივად სსრ კავშირისაგან ცალმხრივ განიარაღებას მოითხოვს.

● ამერიკა

„ არ გვინდა ფრთოსანი რაკეტები!"

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატები სულ უფრო აქტიურად ითრევს კანადას თავის მილიტარისტულ გეგმებში და არ ფარავს, რომ კანადის ტერიტორია ბირთვულ-რაკეტული იარაღის ახალი ნიმუშების გამოცდის პოლიგონად მიაჩნია.

როგორც გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" იუწყება, ვაშინგტონსა და ოტავას უკანასკნელი შტრიხები შეაქვთ შეთანხმებაში, რომელიც პენტაგონს შესაძლებლობას მისცემს მოაწყოს ამერიკული ფრთოსანი რაკეტების საცდელი გაშვება ალბერთის პროვინციაში. ამ რაიონმა შემთხვევით როდი მიიპყრო ამერიკის შეერთებული შტატების დებატორების რელიეფი და კლიმატიური პირობები. გაზეთი აღნიშნავს, რომ „ადგილმდებარეობის რელიეფი და კლიმატური პირობები აქ ციმბირისას წააგავს".

პოლიტიკური მიმმხილველნი ხაზს უსვამენ, რომ თავის ტერიტორიაზე ფრთოსანი რაკეტების გამოცდის მოწყობის შესახებ ვაშინგტონმა კანადა შეეპირა ტრადიციული გზით — „ძაღლების მტვრევის" აშკარა ტაქტიკის მეშვეობით. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, „კანადის მთავრობამ ითხოვა გადაედოთ შეთანხმების ხელმოწერა ქვეყნის მოსახლეობის დიდი პროტესტების გამო, მაგრამ „ამერიკელ ოფიციალურ პირთ იმედი აქვთ, რომ დოკუმენტს უახლოეს ხანს მოაწერენ ხელს".

გელაპის სამსახურის მიერ მოწყობილი კანადის საზოგადოებრიობის გამოკითხვის შედეგების თანახმად „ნეკერჩხლის ფოთლის" ქვეყნის მცხოვრებნი ილაშქრებენ კანადაში ამერიკული იარაღის გამოცდების წინააღმდეგ.

ოტავა. „არ გვინდა ფრთოსანი რაკეტები!", „ვგმობთ პენტაგონის ბირთვულ გეგმებს" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა აქ მასობრივი დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ კანადა რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული გამალებული ბირთვული შეიარაღების თანამონაწილე ხდება. ხელისუფლებმა მანიფესტანტთა წინააღმდეგ გამოიყვანეს პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რომლებიც ხელკეტებით დაერივნენ გამოსვლების მონაწილეებს და გარეკეს ისინი.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში დემონსტრანტებმა გადაჭრით დაგმეს კანადის მმართველი წრეები, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ გეგმებს.

● ოლონეთი

საკვანძო მიმართულებანი

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი 1983 წელს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანებისა და მიმართულებების შესახებ.

სხდომაზე, კერძოდ აღინიშნა, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარება, მეტადრე, დაძაბულობა, რომელსაც სულ უფრო ამწვავებენ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო, საერთაშორისო ასპარეზზე პოლონეთის გარიყვის ცდები, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისტული ცილისმწამებლური კამპანიები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის წინაშე 1983 წელს სერიოზულ ამოცანებს აყენებენ. ამ ამოცანებს განეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ სახელმწიფოებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება, იმ ერთობლივი ინიციატივების განხორციელება, რომლებიც განსაზღვრულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მიერ პრაღაში მიღებულ პოლიტიკურ დეკლარაციაში.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

ახალი გამოძიება

სტამბული. თურქეთის სახალხო-რელიგიურ ხელისუფლებამ დაიწყეს ულტრამემარჯვენე ტერორისტის მეჰმეთ ალი აღჯას საქმის ახალი გამოძიება. 1979 წლის თებერვალში ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტის, ბურჟუაზიულ-ლიბერალური გაზეთის „მილიეთის" მთავარი რედაქტორის აბდი იპეჭჩის მკვლელობისათვის ტერორისტს მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ თავის თანამოზრეთა — თურქ ნეოფაშისტთა დახმარებით შეძლო გაქცეულიყო ანკარის სამხედრო საპატიმროდან და დამალულიყო ქვეყნის საზღვრებს გარეთ. 1981 წლის მაისში აღჯამ კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა — თავს დაესხა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს პაპ იოანე პავლე მეორეს, რისთვისაც სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის რომის ერთ-ერთ საპუსალოში.

როგორც აქ გამოაცხადეს, სტამბულის პოლიციამ დააპატიმრა საბაყლოს მფლობელი ვინმე მეჰმეთ გიურბიუზი, რომელთანაც აღჯა ემალებოდა სამართალს.

ამასთან სამხედრო პროკურატურამ ჩვენება ჩამოართვა „მილიეთის" მთელ რიგ თანამშრომელებსა და გაზეთ „ჯუმჰურიეთის" ცნობილ ჟურნალისტს უგურა მუმჯუს ა. იპეჭჩის მკვლელობის შესახებ დამატებითი ცნობების მიღების მიზნით. ადგილობრივი პრესა გამოთქვამს აზრს, რომ „მილიეთის" მთავარი რედაქტორის მკვლელობა

თბილისელ ქერამიკოსთა სიახლეები

ყვავილის ლარნაკები „ქრიზანთემა“, ლიქიორის სერვიზი „საბედნიერო“, ორიგინალური სალათიერები, დეკორატიული ვაზები „რთველი“ და სხვა ჯურ̇ების შეემატა წელს თბილისის საშენ მასალათა ქარხნის კერამიკული საამქროს მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

საწარმოს პროდუქციამ დიდი ხანია უმართო პოპულარობა მოიპოვა. მას რეგულარულად უჩვენებენ საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე.

კერამიკოსებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელთა ინიციატივას „სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველფერში!“

ხუთწლედის შუაგული წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებას სათავეში უდგანან მხატვარ-შემსრულებლები, კომუნისტური შრომის დამკვრელი ნინო სალარიძე და მარინე ანდღულაძე. ისინი მნიშვნელოვნად უსწრებენ დროს და ახლა მარტის ანგარიშში მუშაობენ.

სურათზე: მხატვარ-შემსრულებლები ნ. სალარიძე და მ. ანდღულაძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

წიგნის თარო

„ნევროლოგიის ისტორიისათვის საქართველოში“ ასე ეწოდება გამოკვლევა, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ახლახან დასტამბა. წიგნის ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერი და მკურნალი ალექსი მიდდაძე.

ნევროლოგია, როგორც მედიცინის ცალკე დარგი, შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ მისი განვითარება თავიდანვე ისეთი აღმავლობით და მასშტაბით დაიწყო რომ ძალზე სწრაფად შეიქმნა ფართო და ღრმამეცნიერული ისტორია. სარეცენზიო წიგნის ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ „ქართული ნევროლოგიის ისტორიის დაწერა ფრიად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა, რამდენადაც, ერთი მხრივ, ეს პირველი ცდაა, მეორეს მხრივ, მეცნიერების ამ დარგის ჩეშმარიტად ღირსეულ მოღვაწეთა საქმიანობის თანამიმდევრული გაშუქება მრავალი კომპლექსური საკითხისა და პრობლემის შესწავლას მოითხოვს“. ამ დარგის მესვეურთათვის ნათელია, რომ არც საქმის გადადება იქნება, რამეთუ „ბევრი სასარგებლო რამ შეიძლება დავიწყებას მიეცეს, ანდა სულაც დაიკარგოს“. ეს ორი გარემოება, სხვა ღირსებებზე რომ პრაფერი ითქვას, უკვე თავისთავად დიდად ზრდის აღნიშნული ნაშრომის შემეცნებითს ღირებულებას.

სასარგებლო ნაშრომი

წიგნის პირველი თავი დათმობილი აქვს ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ნევროლოგიის საკითხებზე არსებული წერილობითი ცნობების განხილვას, თუმცა არც არასამედიცინო წყაროებია უგულებელყოფილი. ეს არის ფეოდალური ხანის ქართული ფიზიკლობითი წყაროები. მათ შორის „სეროაპონ ხარზმელის ცხოვრება“, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვა. უფრო დაწვრილებით გაანალიზებულია ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში არსებული აღწერილობანი ნერვული სისტემის აგებულების, დაავადებებისა და მკურნალობის შესახებ. სახელდობრ, განხილულია „უსწორო კარაბადინში“, „წიგნი საკმეოიში“, „სამკურნალო წიგნში“, „იადიგარ დაუდში“ არსებული საინტერესო ცნობები.

ერთი შეხედვით მკითხველმა იქნებ იკითხოს კიდეც შეიძლება კი ნევროლოგიაზე ლაპარაკი ასეთ შორეულ წარსულში? ცხადია, ნევროლოგიის თანამედროვე მეცნიერული არსის მიხედვით, არ შეიძლება, მაგრამ უფრო მეტად გაუმართლებელი იქნებოდა ძველი სამედიცინო წყაროების უგულებელყოფა. როცა ძველ ქართულ წიგნებში ვკითხულობთ ნერვული სისტემის აღწერილობას, მის ფუნქციათა დახასიათებას, ნერვული სისტემის დაავადებათა ნიშნებს, მკურნალობის მეთოდებს, ასეთი მასალის გვერდის ავლა შეუწყნარებელია. როცა „უსწორო კარაბადინის“ ავტორი წერს, რომ „კაცის კარგადყოფნა და ავადყოფნა ტვინზე ჰკიდია“, ამის უგულებელყოფა შეუძლებელია. მსოფლიოში ბევრი არ მოიძებნება XI საუკუნის სამედიცინო წიგნი, რომელშიც მსგავსი დებულება იყოს განვითარებული. სამწუხაროდ, რენესანსის დროისთვის დამახასიათებელმა ასეთმა მოწინავე სამედიცინო შეხედულებამ, ისევე როგორც ბევრმა სხვა მოვლენამ რუსთაველის ეპოქისამ, ისტორიულ გარემოებათა გამო შედგომი დაგვიგვიანება ვერ პოვა, მაგრამ მათი კვალი არ დაკარგულა. ავტორის კეთილი განზრახვა — მკითხველს აჩვენოს თუ რა როლი შეასრულა უძველესმა სამედიცინო აზროვნებისა და საექიმო საქმიანობის ტრადიციებმა, დიდი პოტენციის მქონე სამეცნიერო ლექციამ, დახვეწილმა და მრავალფეროვანმა ანატომიურ-ფიზიოლოგიურმა ტერმინოლოგიამ, უაღრესად დამაჯერებელ ეფექტს ქმნის.

წიგნის მეორე თავში იგი მიმოიხილავს ეროპისა და რუსეთის სამეცნიერო ცენტრების საყოველთაოდ აღიარებულ მიღწევებს ნერვული სისტემის შესწავლის საქმეში. კერძოდ მოცემულია თავისა და ზურგის ტვინის, პერიფერიული ნერვების მაკრო და მიკრომორფოლოგიის, მათ დაზიანებათა მექანიზმების ზოგადი კანონზომიერების, კლინიკის დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხების ისტორიული ნარკვევი. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება სამამულო ფიზიოლოგიის იმ ეპოქალურ მიღწევებზე, რომლებიც დაკავშირებულია ივანე სეჩენოვის, ივანე თარხნიშვილის, ივანე პავლოვის, ნიკოლოზ ვედენსკის, ალექსი უხტომსკის, ივანე ბერიტაშვილის, ლეონ ორბელის სახელებთან. წიგნში ნათლად არის ნაჩვენები, რომ მათ ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს, დიდ ზოგადთეორიულ მნიშვნელობასთან ერთად, პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა კლინიკური ნევროლოგიის პრაქტიკული პრობლემების მეცნიერულ საფუძვლებზე გადაჭრასთან. უფრო მეტიც, ეს იყო ერთადერთი სწორი გზა ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ამ ისტორიული ნიშანსვეტების მნიშვნელობის შემდეგ ავტორი უშუალოდ ეხება სამამულო ნეროპათოლოგიის კორიფეების ალექსი კოტელნიკოვის, სერგი კორსაკოვის, ვლადიმერ ბეხტერევის და სხვათა ცხოვრებისა და განსაკუთრებით მათი მეცნიერული კვლევის შედეგების ისტორიული მნიშვნელობის დახასიათებას.

წიგნში მოცემულია მეცნიერული ნევროლოგიის განვითარების ისტორია საქართველოში. მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა ნევროპათოლოგიის კათედრების, ნევროლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს და თბილისის ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოებების, ნევროლოგიური სამსახურის ჩამოყალიბების ისტორიას. განსაკუთრებით ხაზგასმულია თბილისის უნივერსიტეტის დაარსების როლი ქართული მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის აღორძინების საქმეში. ნაჩვენებია სამკურნალო ფაკულტეტის და მასთან შესაფერისი პროფილის კათედრების დაარსების, თანამედროვე ცოდნითა და კვლევის მეთოდებით შეიარაღებული კადრების აღზრდის, სპეციალური ლაბორატორიების ახალი აპარატურით აღჭურვის მნიშვნელობა ნევროლოგიის ისტორიაში. ავტორი სიყვარულითა და ზომიერების ტაქტით აცნობს მკითხველს პირველი ქართველი კლინიცისტი ნევროპათოლოგის მიხეილ გედევანიშვილის, გაბრიელ პონდოლეურის პროფესორ იაკობ ანფიმოვის, პროფესორ სიმონ ყიფშიძის, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის, აკადემიკოს პეტრე ქავთარაძის, პროფესორ ნიკოლოზ ფოფხაძის და სხვა ცნობილ ნევროლოგთა ცხოვრებასა და მოღვაწეობის. აღნიშნავს იმ დიდ როლს, რომელიც მათ შეასრულეს საქართველოში ნევროლოგიის განვითარების საქმეში. კარგია, რომ წიგნში მოცემულია ქართველ ნევროლოგთა ყველაზე მნიშვნელოვან მონოგრაფიათა, სახელმძღვანელოებისა და შრომათა კრებულების ბიბლიოგრაფია.

იმისათვის, რომ ეს ისტორიული გზა შესაფერისად ყოფილიყო წარმოდგენილი, ავტორს დიდძალი და მრავალფეროვანი პირველწყაროა გამოუყენებია, დაწყებული ძველი ქართული მწერლობის ძეგლებით და დამთავრებული სულ ახალი საარქივო და სამეცნიერო საზოგადოების ოქმებით.

წიგნი დაწერილია სადა და ნათელი სტილით. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსი მიდდაძე დიდი ხანია გატაცებით მუშაობს ქართული მედიცინის ისტორიის საკითხებზე. ეს არის ამ პროფილის მისი პირველი წიგნი. მკითხველი უმალვე იგრძნობს გამოცდილი ავტორის ხელწერას. საერთოდ ისტორიოგრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, როცა ამა თუ იმ დარგის ისტორიას იმავე დარგის ცნობილი სპეციალისტი წერს, რომელსაც საამისო უნარი შესწევს.

წინათქმაში ავტორი თავად აღნიშნავს, რომ „შეიძლება (და ეს მომავალში უნდა გაკეთდეს) ნეროლოგიის განვითარების უფრო ზუსტი პრობლემური ასპექტების შესწავლა“, მაგრამ, ის, რაც ამ გამოკვლევით გაკეთდა, საფუძველია, რომლის გარეშე მომავალი სამეცნიო წარმატებთან შესრულება ძნელი წარმოსადგენია.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ისტორიული კულტურული წარსული განსაკუთრებული ზრუნვით არის გარემოსილი და საგანგებო ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის ჯანსაღი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ალექსი მიდდაძის გამოკვლევას „ნევროლოგიის ისტორიისათვის საქართველოში“ კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ღირებულება ენიჭება.

ტირაჟი — 1000, ძალზე მცირეა.

სასურველია, რომ წიგნი უფრო დიდი ტირაჟით გამოიცეს არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც.

ა. გელაშვილი.
პროფესორი.

——— ყაბანი

მხდამეორე ტრაღიკული...

დღეს სპორტის სასახლეში იწყება თბილისის XXII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ეს ტრადიციული შეჯიბრება ჭიდაობის ქომაგებს შორის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და, ცხადია, ახლაც ასე იქნებაა. როგორც წესი, სსრ კავშირის და უცხოეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად ამ შეჯიბრებაში ცალკე კოლექტივით გამოდიან ხოლმე მასპიხლები. წლევანდელ ტურნირს საქართველოს ათლეტებისთვის გახსაკუთრებული ძხიშვნელობა თუნდაც იმისათვის ენიჭება, რომ იგი ერთობ კარგი გამოცდა იქნება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების წინ. სხვის რომ თავი დავანებოთ, ამ შეჯიბრებაში ხომ ტრადიციულად მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები ასპარეზობენ და მათთან ძალების მოსინჯვამ კეთილსმყოფელი გავლენა უნდა მოახდინოს ჩვენი მოჭიდავეების ოსტატობის შემდგომ დახვეწაზე.

სპორტის სასახლის სარბიელზე საბჭოთა ათლეტებთან ერთად ვიხილავთ ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, კუბის, მოხლოლეთის, თურქეთის და აშშ-ს სპორტსმენებს. შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდება. დილის შეხვედრები დაიწყება 11 საათზე, საღამოსი კი 18 საათზე. გამარჯვებულთა ვინაობა გაირკვევა ასპარეზობის ბოლო დღეს, 30 იანვარს.

საბურნიერო ორბიტა

ფეიზბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩს კიევის „დინამო“ გრმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგთან“ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 2 მარტს გამართავს. მახამდე კი უკვე 15 თებერვალს „ლოკომოტივ ვ ი ს“ სტადიონზე თბილისის „დინამო“ მიიღებს სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადება. ცნობილი გახდა ისიც, რომ თბილისის „დინამო“ მოხაწილეობას მიიღებს უეფას თასის 1983-84 წლების გათამაშებაში.

თაგბისუფალი ჭიდაობა. „კომუნისტის“ მკითხველებმა იცით, რომ კიევში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების ამხაგაგური შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 9:1. ჩვენი ნაკრების ღირსეს სხვებთან ერთად იცავდა სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი დავით გიგაური (68 კგ-მდე წონა). მან ერთობ შეუპოვარ ორთაბრძოლაში დაამარცხა პანამერიკული ასპარეზობების ჩემპიონი ე. რინი.

მოკლედ

ფრანს პრესის სააგენტომ გავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ 50 წლისა გარდაიცვალა ფეხბურთის სამყაროში გარინჩას სახელით ცნობილი ბრაზილელი ფეხბურთელი მასულ ფრანსისკო დოს სანტოსი. ამ შესანიშნავ ფეხბურთელს მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ. იგი ხომ თავის დროზე ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი (1958 და 1962 წლებში) გახლდათ.

სუპერთასს „ასტონ ვილა“ დაეუფლა

ბირმინგემში ინგლისის „ასტონ ვილამ“ სუპერთასის გათამაშების განმორებითს მატჩში უმასპინძლა ესპანეთის „ბარსელონას“, დაამარცხა ანგარიშით 3:0 (პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს ესპანელებმა 1:0) და თასს დაეუფლა. განმორებითი შეხვედრის ძირითად დროში „ინგლისელებმა 1 ბურთის გატანა შეძლეს (79-ე წუთზე), დამატებითს დროში კი კიდევ 2 ბურთის გატანით საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს. თამაში ერთობ უხეშად წარიმართა, ბელგიელმა არბიტრმა ალექს პონემ ორი ესპანელი და ერთი ინგლისელი ფეხბურთელი გააძევა მინდვრიდან. გარდა ამისა, მან სამ ინგლისელ და 4 ესპანელ მოთამაშეს ყვითელი ბარათი უჩვენა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1983-84 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების კონსულტაციები მოეწყობა დრამისა და კინოს მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სპეციალობაზე შემსცელელთათვის. შაბათობით, 17 საათიდან (რუსთაველის გამზირი, 17).

ორშაბათი, 31 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თბილი სახლი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა-თაც და საქმითაც“. 11.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — აკაკი კვანტალიანი (განმეორებით). 12.00 — მხატვრული ფილმი „ვაი ჭკუისაგან“ (პირველი და მეორე სერია). 16.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.30 — საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 17.20 — „თბილისის ძველი უბნების ახალი სიცოცხლე“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის). 17.50 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. სატელევიზიო ჟურნალი. 18.25 — კინონარკვევი. 18.35— „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი“. 19.25 — „ფუძე ქვეყნისა“ — სილაგაძეების ოჯახი. 19.45— „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „იყო ერთი წუთი“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „მეერის ლამარა ჭყონია“. 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლიტერატურული შეხვედრები“. 17.35 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაპიტანი კონოვალოვი“. 18.25 — მასწავლებლის საათი— ხაზვა. 19.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბარეპაიმი“. 19.45 — განცხადებები.

სამშაბათი, 1 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაპიტანი კონოვალოვი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფირმის საიდუმლოება“. 11.00 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 11.35 — კინონარკვევი. 11.45 — მხატვრული ფილმი „ჩემთან ყველაფერი რიგზეა“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუკუნეთა ძახილი“. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები, ცეცხლი, ლითონი“. 16.15 — შეგისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმები: „ეშმაკი მგბაღეები“, „ანათე“. 17.05 — „მასლებთან კავშირი“ — „პროპაგანდისტი“. 17.25 — ქართული საესტრადო მელოდიები. 18.05— „რეპორტაჟი სატელევიზიო ხარისხის სახლიდან“. 18.45 — „ზომელი“ — სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ახალგაზრდობისათვის — „შთამომავალი“. 21.00 — „დიდი ხალხის სამართლე“ — პრემიერა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „სამშობლოს ჯარისკაცები“ (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — მხატვრული ფილმი „ძოწის სამაჯური“. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბედის ხაზი“. 17.30 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა. 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლეგენდების კუნძული“. 18.30 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა. 19.15 — განცხადებები.

ოთხშაბათი, 2 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მასწავლებელი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რა შეუძლია კოლექტივს“. 11.05 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 12.05— მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაჟიშვილები“. 13.00— მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლიტერატურული შეხვედრები“. 16.00 — დოკუმენტური ფილმი. 16.15 — შეგისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენ 130 მილიონი ვართ“. 17.35 — მოსწავლეთათვის — „მე კომავშირელი ვარ“. 18.05 — „სტალინგრადის გმირობა“ სტალინგრადის ბრძოლების 40 წლისთავის გამო. 18.55 — ფილმი გადაღების წინ — „ბაგრატიონი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.35 — მხატვრული ფილმი „გენერალ შუბნიკოვის კორპუსი“ — სტალინგრადის ბრძოლების 40 წლისთავის გამო (მ.). 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტი. ასრულებენ ე. ვირსალაძე და ბოროდინის სახელობის კვარტეტი. 23.30 — კალათბურთი „კორაჩის“ თასზე: მოსკოვის „დინამო“-ბელგიის „პარტიზანი“ (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — კინოჟურნალი „ჰორიზონტი № 28“. 17.40 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩირიკი და ჩიკოტელა“. 19.15 — განცხადებები.

ციისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ხუთშაბათი, 3 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“.9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშური ესტაფეტა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუდნი“. 10.45 — მხატვრული ფილმი „გენერალ შუბნიკოვის კორპუსი“ (მ.). 12.10 — კინოჟურნალი — „ვარსკვლავა № 29“. 13.00 — ბბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „პირველნება ბავშვობიდან იწყება“. 15.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები, მიწა, პური“. 16.05 — შეგისწავლოთ ფრანგული ენა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის „ჩვენი თვითმოქმედება“. 17.40 — მულტიპლიკაციური ფილმები: ზღაპარი კეთილ ექიმზე“, „ნასწავლი მეთევზეები“. 18.00 — „მეერის ნუნუ გაბუნია“. 18.30 — „ამაგდარი“ ლ. გოშაძე. 19.05 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „დილის მუსიკა“ (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“ — ცოდვის შვილები“. 21.35 — ქართული ხალხური სიმღერები. 22.00 „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „ნარინჯის ველი“. დასასრულს ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რიტმი, რიტმი, რიტმი“. 17.30 — მოსწავლეთათვის — ქიმია. 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მზიანი მხარის პალიტრა“. 18.25 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი — „კონტაქტი“.

პარასკევი, 4 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაბრუნება ბრაატსკში“. 10.00 —„მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უფროსი თაობა“. 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ნარინჯის ველი“. 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ეოლგის ავტოქარხანა: გუშინ, დღეს, ხვალ““, „ეოლგის ავტოქარხანა. ქარხანა და ადამიანები“. 14.50 — კინოეპოპეა— „დიდი სამამული“. „ბრძოლა ბერლინისათვის“ (მ.). 15.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ტელესკოპი“. 16.00 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალებების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის — „ციცარა“. მხატვრული ფილმი „ტომ სოიერის თავგადასავალი“. 17.40 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური საღებავი“. 18.05 — კინონარკვევი. 18.20 — ლიტერატურული გადაცემა „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაიჩნდების“. 18.55 — დოკუმენტური ფილმი „სხვა ვინ, თუ არა ჩვენ“. 19.05 — ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი. „ჩანახატები“. 19.45— „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — სტუდია „დიალოგი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საქართველოს სანაოსნო — ციისფერ გზებზე“. 22.40— მხატვრული ფილმი „„ეძენი გრანდე“, 00.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.25 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუდნი“. 18.10 — მასწავლებლის საათი მათემატიკა. 18.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეიდა როზი“. 19.20 — განცხადებები.

შაბათი, 5 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვის მმრომელები“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შეგისწავლოთ ქართული ენა. [illegible] „ხალხური შემოქმედება [illegible] მელერის შესწავლა“ („რაჭული სუფრული“). 12.15 — „კინოაფიშა“. 12.40 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთის საზღვრებს სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი. 13.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.30— „ეკრანული სახეები“. ანატოლი პაპანოვი. 14.20 — „მეგობრობის ეკრანი“ — „ჩვენი სტუმარია პიატიგორსკის ტელევიზია“ (ეკორგეესკის ტრაქტატის 200 წლისთავის გამო). 15.50 „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.55 — თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 16.30 — „ბალეტის მოყვარულთათვის“. 17.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 18.30 — გადაცემა „რუსთაველი მეტალურგებისა“. 18.55 — „მეც თბილისელი ვარ“ — ევგენი პრიმაკოვი (გამეორებით). 20.05 — „მოამბე“. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 21.00 — სპორტული პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — საქართველოს ტელევიზია ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე (4 დეკემბრის პროგრამის გამეორება).

კვირა, 6 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები და მათი ბედ-იღბალი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შეგისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — „საშინაო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ნეტერკა“. 12.00 — „ჯანმრთელობა“. 12.45 — „დილის ფოსტა“. 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე). 13.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.55 — „ქართული კინოს დღეები საფრანგეთში“. 14.25 — სპორტული პროგრამა. 16.10— „ვესტნიკი“. 16.40 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — ევროპის პირველობა ფიგურულ ცეკვაობაში. საჩვენებელი გამოსვლები (გადმოცემა გფრ-იდან). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი. 23.10 — სპორტული პროგრამა.

ორშაბათი, 31 იანვარი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.40 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.15 — „პიკის საათი“, საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (გაგრძელება). 9.25 — „ჩემი „ვეფხისტყაოსანი“. 11.15 — „პარტიის ეროვნული პოლიტიკის ამოცანები“. საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.15 — ქალაქური პანგები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“— პ. იაშვილის ლექსები. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. 15.00 — „ემორნოა ვოლგაზე“. სტალინგრადის ბრძოლის 40 წლისთავისათვის (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ყველა მერიდიანზე — ფაქტი, მოვლენა, კომენტარი“. 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“. საუბარი „რაციონალურად გამოიყენოთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსები“. 19.15 — მეერის მ. ბატისტინი. 20.30 — „სიმღერაც იბრძოდა“. კონცერტი. 20.45 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ლენინგრადის „სპარტაკი“ — თბილისის „დინამო“. 21.00 — „ძილისპირული“. 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე“. 22.00 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი (განმეორებით). 22.30 — ს. რახმანინოვის საფორტეპიანო ნაწარმოებები ვ. სოფრონიცკის შესრულებით. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 2 თებერვალი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 10.15 — ისტორია. VIII კლასი. 14.30 — დ. კუბულტინოვის პოეზია. 15.00 — კომუნისტის სახე საბჭოთა სახეთის ხელოვნებაში. 15.30 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“. მე-17 ფილმი — „მოკავშირენი“. 16.20 — ახალი ამბები. 20.00 — მოგზაურთა კლუბი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ურენგოიუგოროდის კარპატის მონაკვეთის მშენებლობაზე. 21.45 — ძველი რუსული რომანსები. ასრულებს ვ. ანისტრატოვა. 22.00— „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „სოფიო გრუშკო“.

28 იანვარი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მარად

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი ქვირის პროგრამა



ხუთშაბათი, 3 თებერვალი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 7.30 — პროგრამა „დილის ტალღაზე“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.15 — პროგრამა „დილის ტალღაზე“ (გაგრძელება). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — მ. ბალანჩივაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „დარეჯან ცბიერი“. 11